ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 28 სექტემბერი, 2018 №230 (7775) ფასი: 60 თეთრი

„მერე იქ ბიძინამ შეკრიფა ეგენი და ვანომ უნდა ვთქვაო ამ კაცის სახელიო“

„ომეგას“ საქმეზე ახალი ჩანაწერი გავრცელდა

გვ.7

დიმიტრი ქუმსიშვილი ლევან ყიფიანის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას ითხოვს

„ოცნების“ ყოფილი მინისტრები ერთმანეთს დაერივნენ

გვ.7

„კალაძემ სერგეევიჩოს ძმა 3.000-ლარიან სამსახურში დაასაქმა“

გვ.2

ლევან ხაბეიშვილი: „ოცნების“ გემი იძირება“

უჩა ნანუაშვილი: „რუსთაველზე პროცესები, შესაძლოა, უმართავი გახდეს“

გვ.2

ყოფილი სახალხო დამცველი სისტემურ პრობლემებზე საუბრობს

კანაფმა მმართველ გუნდში სიტუაცია დაძაბა

გვ.3

გვ.3

შოთა მალაშხია: „ქართულ ოცნებას“ უკვე ყველაფერი ერთბაშად აუფეთქდა“

გვ.5

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ოცნება“ მარიხუანის თემაზე ეკლესიას აზრს ვერ შეაცვლევინებს“

„დეკანოზ მამალაძის შეწყალების საკითხი მომავალი პრეზიდენტის განსახილველი იქნება“

გვ.4

თამარ კორძაია: „ეს საქმე სამართლებრივად ჯერ არ დასრულებულა“

გვ.4

ლალი აფციაური: „გია თვალავაძე თავს ცუდად გრძნობს და მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა“

„ეს იყო უსამართლო სასამართლო“

ეკონომიკა გვ.6

„რეგულაციების 2020 წლისთვის გადადებაც კარგი იქნებოდა“

გაძვირებული აუდიტორული მომსახურება საქართველოს საფონდო ბირჟიდან კომპანიების გასვლის მიზეზი ხდება

ნიკოლოზ ნაყოფია: „ბაზარზე იაფფასიანი ოქროს არსებობა დემპინგურ მდგომარეობას ქმნის“

ISSN 1987-9385

7 სკანდალი ჯანდაცვის სამინისტროში
ლუგარის ლაბორატორიის შესახებ მინისტრისა და აშშ-ის საელჩოს მიმოწერა რუსეთში აღმოჩნდა

7 გახარია: „დიდი ხანია, ლონდონში არ ვყოფილვარ და სიამოვნებით ჩავალ“

8 პოროშენკო: „რუსეთი კლავს, ანგრევს და იტყუება, როდესაც ამბობს, რომ უკრაინა, ისევე, როგორც საქართველო, თავის თავს თვითონ დაესხა“

7 პირი, რომელიც დედაზე სისტემატურად ძალადობდა, სასამართლომ დამნაშავედ ცნო

„კალაძემ სერგეენკოს ძმა 3.000-ლარიან სამსახურში დაასაქმა“

ლევან ხაბეიშვილი: „ოცნების“ გემი იძირება“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ დაერივნენ „ოცნების“ ყოფილი მინისტრები ერთმანეთს, როგორ საქმდებიან ჩინოსნების ნათესავები, რატომ უნდა დაბრუნდეს კალაძე სამტრედიაში? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, თბილისის საკრებულოს დეპუტატი ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.

ლევან ხაბეიშვილი:

– ამ დღეებში გამოქვეყნდა კვლევა, საიდანაც ჩანს, რომ „ოცნება“ ყოველგვარი გამოცდებისა და კონკურსების გარეშე ასაქმებს ხალხს. იმისთვის, რომ სამსახური იშოვო, ცოდნა და გამოცდილება საჭირო არაა. მთავარია, „ოცნებაში“ გყავდეს გავლენიანი ნათესავი.

როგორ საქმდებიან სხვადასხვა თანამდებობის პირების ნათესავები, ამაზე ბევრჯერ მისაუბრია და კიდევ ერთ ნათელ მაგალითსაც მოგიყვანთ. ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს ძმა თბილისის მერიაში დაასაქმეს. მას სამსახური რამდენიმე თვის წინ, მარტში უშოვეს. იმ დროისთვის კახა კალაძე ახალი მოსული იყო მერიაში.

ამ ახალმოსულმა მერმა სერგეენკოს ძმა დაასაქმა ყოველგვარი გამოცდისა და კონკურსის გარეშე.

– აბა, შრომისა და დასაქმების მინისტრის ძმას დაუსაქმებელს ხომ არ დატოვებდნენ.

– ეს დაუშვებელი იყო და კალაძემ სერგეენკოს ძმას ყოველგვარი კონკურსის გარეშე გაუფორმა ხელშეკრულება, ხელფასიც ისეთი დაუნიშნა, როგორც მინისტრის ახლობელს ეკადრებოდა – 3.000 ლარს უხდის ყოველთვიურად.

მინისტრის ძმა მერიის იმ სააგენტოშია დასაქმებული, რომელიც თანამშრომლებისთვის დანა-ჩანგლის ხმარების სწავლებით არის ცნობილი. იმის ნაცვლად, რომ სერგეენკო მოქალაქეების დასაქმებასა და შრომისუნარიანობის ამაღლებაზე ზრუნავდეს, საკუთარი ოჯახის წევრს ასაქმებს.

ეს არ არის ნორმალური ამბავი და დედაქალაქის მერს მოვუწოდებ, რომ ის ადამიანები, რომლებიც კონკურსების გარეშე დაასაქმა, გაათავისუფლოს. დაუშვებელია, ყოველთვიურად ხარკს ვუხდიდეთ გაურკვეველ პირებსა და მინისტრების ოჯახის წევრებს.

– საინტერესოა, ძმა თუ ითვლება ოჯახის წევრად ან ნათესავად. შეიძლება, სერგეენკომ თქვას, რომ ძმა ნათესავი არ არის.

– არ გამიკვირდება, რომ სერგეენკომაც უარყოს ძმა. „ქართული ოცნების“ წევრებისგან ხშირად გვინახავს დედის, მამის, ცოლის, ცოლის ნათესავების უარყოფა.

დედაქალაქის მერმა სერგეენკოს ძმაზე მხრები აიჩეჩა და თქვა, ვინ არის ეგ, საერთოდ არ ვიციო, დაამატა, იმდენი თანამშრომელია მერიაში, რანაირად გავიგო, ვინ ვისი ძმაო.

– თანამშრომელი მართლა ბევრი ჰყავს კალაძეს?

– რას ჰქვია, ბევრი თანამშრომელი ჰყავს? უკაცრავად, მაგრამ 2-ლარიან სამსახურში ხომ არ ჰყავს დასაქმებული. თვეში 3.000 ლარს უხდის. 3.000-ლარიანი ანაზღაურება დეპუტატსაც კი არ აქვს.

მე ხომ ვარ საკრებულოს დეპუტატი და სერგეენკოს ძმას ჩემზე ბევრად მეტი ანაზღაურება აქვს. არადა, ეს ადამიანი ხელშეკრულებით აიყვანეს.

კალაძემ კიდევ თუ არ იცის, რა ხდება მის სამსახურში და სიტუაციას ვერ აკონტროლებს, მაშინ დატოვოს მერია, წავიდეს სამტრედიაში და გააგოროს ბურთი, გააკეთოს ის, რაც იცის და ეხერხება.

– სამტრედიაში რა უნდა, ხელისუფლებაში იტალიიდან მოგვივიდა. მილანში მაინც გაგეშვათ.

– მილანში ვის რად უნდა, უკვე ვეტერანია და აღარ გამოადგებათ. სამტრედიის გუნდში ჯერ კიდევ შეუძლია თამაში და იქ ირბინოს.

მართლა ძალიან მძიმე ვითარებაა ქვეყანაში. ყველა გამოკითხვაში ჩანს, რომ მოსახლეობა მთავარ პრობლემად დასაქმებას ასახელებს. „ოცნება“ კი მხოლოდ საკუთარ ნათესავებს ასაქმებს. ათასობით ლარებს უხდიან ხელფასის სახით, ხალხი კი სიღარიბეში რჩება.

– პარლამენტის სპიკერი ამბობს, რომ სიღარიბე მკვეთრად შემცირდა ხელისუფლებაში მათი მოსვლის შემდეგ.

– ასე ამბობს ირაკლი კობახიძე და ამას იმეორებენ სხვებიც. ან რეალობას ძალიან არიან აცდენილები, ან დაგვცინიან. მგონია, რომ უფრო დაგვცინიან. რამე კრიტიკულსა და განსხვავებულს თუ ვიტყვით, ყველაფერზე იძახიან, რომ ოპოზიციას ელანდება.

როდესაც ვამბობდით, რომ გიორგი კვირიკაშვილი რაღაცებს აშავებდა, გამოდიოდნენ და ამბობდნენ, ოპოზიცია იგონებსო. რამდენიმე თვის წინ აღმოაჩინეს, რომ მართლა კორუფციაში იყო ჩართული. ახლა მთელი „ოცნება“ ერთხმად გაიძახის, დედაااااااااა, ეს ქუმსიშვილი და კვირიკაშვილი როგორი კორუმპირებულები ყოფილანო. არადა, აქამდე მათ წესიერებაზე დებდნენ თავს. ახლა მათ შეაწმინდეს ხელები, გეგონება, მარტო მაგათ შეჭამეს ბიუჯეტი.

ცოტა ხნის წინ საუბრის ჩანაწერები გამოქვეყნდა, სადაც უჩა მამაცაშვილი, ლევან ყიფიანი, დიმიტრი ქუმსიშვილი, ანზორ ჩუბინიძე და „ოცნების“ სხვა მაღალჩინოსნები ფიგურირებენ. ჩანაწერებში მანქანების გადაფორმებასა და ათას უკანონობაზეა საუბარი.

ხელისუფლების წევრებს ჯერ არც ამ ჩანაწერების სჯერათ და ამტკიცებენ, ასეთ რამეს არ იკადრებდნენო. არადა, ფაქტი სახეზეა, ესენი კი თვალებში ჯიუტად გვაყრიან ნაცარს.

ბოლო დროს ნაცარსაც აღარ სჯერდებიან, პირდაპირ ცხელ მუგუზალს გვესვრიან, უნდათ, თვალები ამოგვიშანთონ, რომ რეალობა არ დავინახოთ. მალე ყურებსაც დაგვიხშობენ, რომ აღარაფერი გავიგონოთ.

მოსახლეობაში ისეთი განწყობაა და ქვეყანაში ისეთი მძიმე ვითარებაა, რომ, წესით, ხელისუფლების წევრები უკვე აეროპორტში უნდა იყვნენ. თავიანთი ნებით ესენი არსად წავლენ და იმდენს იზამენ, რომ ხალხი მათ კინწისკვრით გაყრის. ეს დრო შორს აღარ არის.

ვინ თუ არა მე კარგად ვიცი ხალხის განწყობა. სოფელ-სოფელ დავდივარ და ხალხს ვხვდები. ჩემი თუ არ სჯერათ, თავად დაელაპარაკონ ხალხს. რა დღეში უნდა იყოს ადამიანი, რომელიც 15-ლარიან მედიკამენტში 40 ლარს იხდის, ჯანდაცვის მინისტრი კი თავის ძმას ასაქმებს 3.000-ლარიან სამსახურში.

– ზემოთ ჩანაწერების თემა ახსენეთ და ამ ჩანაწერებში ნახსენები ქუმსიშვილი ლევან ყიფიანს უჩივის, რომელიც მისი სახელით ითხოვს მანქანის გადაფორმებას.

– ეს გასაკვირი არ არის, „ოცნებაში“ ერთმანეთს დაერივნენ. როცა გემი იძირება, ასეთი დაპირისპირება იმატებს. ცოტა ხანში კიდევ უფრო საინტერესო ამბებს იხილავთ.

ძალიან მძიმე ვითარება შეიქმნა მმართველ გუნდში 27 სექტემბერს გამოქვეყნებული კვლევების შემდეგ. ამ კვლევების თანახმად, საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის გრიგოლ ვაშაძე ლიდერობს.

ასეთი კვლევები ყველა არჩევნების წინ ტარდება, მაგრამ ჯერ არ მომხდარა, რომ ოპოზიცია ყოფილიყო პირველ ადგილზე, სულ ხელისუფლება ლიდერობდა, „ოცნების“ პირობებში ვითარება ამ მიმართულებითაც შეიცვალა.

„ოცნების“ გემი მართლა იძირება და მეოცნებეებიც ძალიან არაადეკვატურები არიან. ზუგდიდის მერი პირდაპირ კორუფციულ სკანდალში გაეხვია. ახლა ჭიათურის მერი გადადგა.

ხელისუფლება კორუფციასა და ჭაობშია ჩაფლული. ეს ყველაფერი ნათლად გამოაჩინა იმ ჩანაწერებმა, რომლებიც „ომეგასთან“ დაკავშირებით გამოქვეყნდა. კორუფციის გარდა, თავისუფალ მედიასაც ესხმიან თავს. „იბერიის“ ხელმძღვანელობა პირდაპირ ამბობს, რომ მათ კრიტიკის გამო პრეტენზიებს უყენებდნენ, ეუბნებოდნენ, ის წვერიანი კაცი ეთერში ნუ ზის, კრიტიკულ კითხვებს სვამსო.

ასე მოხდა „მაესტროსთან“ მიმართებითაც. ამბობდნენ, უნდა ავაღორძინოთ ეს არხიო და ისეთ დონეზე დაიყვანეს, თანამშრომლებიც კი აღარ უყურებენ მას. მეცხრე არხისა და ჯიდიეესის თანამშრომლებით გაავსეს საზოგადოებრივი მაუწყებელი. ბიძინას ყოფილ თანამშრომლებს ახლა ბიუჯეტი უხდის ფულს.

„იმედს“ ჯერ არაფერს ერჩიან – იმას ამბობენ, რაც მათ უნდათ. ახლახან გვამცნეს, მარიხუანა მწვანე ოქროაო.

ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ძალაუფლება შეინარჩუნონ, მაგრამ ეს ყოველთვის არ გამოვა. ახლა „ოცნება“ აგონიაშია და ყოველდღე ახალ-ახალ შეცდომებს უშვებს. ყველას გვქონდა შესაძლებლობა, გვენახა, როგორ ცდილობდნენ შვილმოკლული მამის დაკავებას. ზაზა სარალიძეზე ვსაუბრობ.

წარმომიდგენია, რა მოხდებოდა, სააკაშვილის ხელისუფლებას ირინა ენუქიძის დაკავების მცდელობა რომ ჰქონოდა. ყველაზე მეტს ალბათ ეკა ბესელია იკივლებდა. ახლა ეს ქალი ზაზა სარალიძეს ემუქრება და ეუბნება, ზღვარს ნუ გადადიხარო. ამას ეუბნება მამას, რომელსაც 16 წლის შვილი დაუკლეს. მკვლელი დღემდე დაკავებული არ არის და გამწარებულ მშობელს აქციის გამართვის უფლებას არ აძლევენ.

– „ოცნება“ ამბობს, რომ სარალიძეს გვერდით ნაციონალური მოძრაობა უდგას და ამის გამო არიან აღშფოთებული.

– აღშფოთებული იმის გამო უნდა იყვნენ, რომ მკვლელი აქამდე გარეთ დადის. რას ჰქვია, ნაციონალური მოძრაობა უდგას ზაზა სარალიძეს გვერდით?! მას მთელი საქართველო უნდა დაუდგეს. მის გვერდით უნდა იდგეს „ოცნებაც“. ვიდრე რამე განცხადებას გააკეთებენ, ერთი წამით მაინც წარმოიდგინონ თავი ამ ადამიანის ადგილზე. ამას მტერსაც არ ვუსურვებ, მაგრამ, წარმოიდგინონ, რომ მათი შვილი დაკლეს.

აგონიაში არიან, ხელისუფლების შენარჩუნებისთვის იბრძვიან და მეტზე არაფერზე ფიქრობენ. ეს აგონია ძალიან ბევრ შეცდომას დააშვებინებს და ხალხი მათ კინწისკვრით გაისტუმრებს.

უჩა ნანუაშვილი: „რუსთაველზე პროცესები, შესაძლოა, უმართავი გახდეს“

ყოფილი სახალხო დამცველი სისტემურ პრობლემებზე საუბრობს

იაგო ნაცვლიშვილი

უფრო და უფრო იძაბება ვითარება შვილმოკლული მამების ზაზა სარალიძისა და მალხაზ მაჩალიკაშვილის აქციაზე. შვილმოკლული მამები, რომლებიც სამართლებრივი მიმართულებით კონკრეტულ შედეგს ითხოვენ, აქციას მართავენ. პოლიციამ მათ კარვების გაშლის საშუალება არ მისცა, რამაც ვითარების დაძაბვა გამოიწვია. იყო დაპირისპირებაც. აქციის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, აქციაზე პოლიტიკურ პარტიებსაც ექნებათ პროტესტის გამოხატვის შესაძლებლობა.

არის თუ არა უმართავი პროცესის საფრთხე და რა პარალელები შეიძლება გაივლოს 51-ე სკოლაში მომხდარ ტრაგედიასა და სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე? – ამ თემაზე ყოფილი სახალხო დამცველი **უჩა ნანუაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს.

– შვილმოკლული მამების ზაზა სარალიძისა და მალხაზ მაჩალიკაშვილის აქციაზე 26 სექტემბერს რა პროცესებიც ვიხილეთ, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ, როგორც უფლებადამცველს?

– სამწუხაროდ, უკვე მერამდენედ მოხდა, როდესაც კონსტიტუციით გარანტირებული უფლება დაირღვა. აქციის მონაწილეებს სრული უფლება ჰქონდათ, აქცია გაემართათ ისე, რომ მოძრაობა არ შეეფერხებინათ, მათ შორის, მათ ჰქონდათ უფლება, კარავი გაეშალათ. ეს მშვიდობიანი შეკრების უფლებაა, რომელიც კონსტიტუციითაა გარანტირებული და ეს უფლება დაირღვა. სამწუხაროდ, ეს აქამდეც მოხდა რამდენიმეჯერ და კიდევ ერთხელ ჩვენ ამ უფლების შეზღუდვის მოწმენი გავხდით.

ამასთან დაკავშირებით სპეციალური გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოსაც აქვს მიღებული. სახალხო დამცველობის დროს მეც არაერთი რეკომენდაცია და განცხადება მქონდა გავრცელებული, რომ ასეთი ქმედება კანონთან წინააღმდეგობაში მოდის. ძალიან სამწუხაროა, რომ სამართალდამცავი ორგანოები იმავე მეთოდს იყენებენ იმისთვის, რომ გარკვეულწილად შეზღუდონ თავისუფალი გამოხატვა და, სამწუხაროდ, 26 სექტემბერს კიდევ ერთხელ გავხდით ამის მოწმე.

– ვნახეთ, რომ პროცესები თითქოს უმართავი ხდება, თქვენი ვარაუდით, სადამდე შეიძლება მივიდეს პროცესი?

– სამწუხაროდ, გეთანხმებით, რომ პროცესები ნელ-ნელა მართლაც უმართავი ხდება. ხალხი ითხოვს სამართალს, გამოძიებასა და კონკრეტულ შედეგებს. ამისთვის საკმარისი დრო არსებობდა, რესურსიც, საკმარისი იყო დრო იმისთვის, რომ ყველას დაგვენახა რეაგირება სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან.

სპეციალური საგამოძიებო კომისიაც შეიქმნა. პრაქტიკულად, ყველა მეთოდი იყო გამოყენებული იმისთვის, რომ გამოძიება წინ წასულიყო. თუმცა, რეალურად მკვეთრი ცვლილებები არ მომხდარა. პირიქით, ძალიან ბევრი ადამიანი, ვინც ხელს აფარებდა კონკრეტულ დანაშაულს და ფაქტების

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

შოთა მალაშხია: „ქართულ ოცნებას“ უკვე ყველაფერი ერთბაშად აუფეთქდა“

„რამდენიმე საკითხმა ერი და ბერი გააერთიანა“

მარიამ მჭედლიშვილი

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ოპოზიცია ვერ იყენებს ხელისუფლების მიერ დაშვებულ უხეშ შეცდომებს. ამ და სხვა თემებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერ შოთა მალაშხიას.

შოთა მალაშხია:

– ხელისუფლების შეცდომები მარტო უხეში კი არა, დანაშაულებრივია. ეს ისეთი ნაბიჯებია, რომლებიც ხელისუფლების წინააღმდეგ ყველას ერთად კრავს. რამდენიმე საკითხმა ერი და ბერი გააერთიანა. „ქართული ოცნების“ ლიდერების გამოსვლებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელისუფლება აზრზე არ არის, რა ხდება. ქუჩაში ხალხს რომ არ ელაპარაკებიან, ცნობილია. ეტყობა, ეს „ელიტა“ საკუთარი ოჯახების წევრებსაც არ ეკონტაქტება, თორემ მიხვდებოდა, რა ვითარებაა.

– რომელმა თემებმა გააერთიანა საზოგადოება?

– დავიწყოთ 2008 წლის ომით. რუსულ ნარატივს იმაზე, რომ ეს ომი თავის ტერიტორიაზე საქართველომ დაიწყო, „ქართული ოცნება“ 2012 წლიდან იმეორებდა. ეს განსაკუთრებით გამაღიზიანებელი აღმოჩნდა ხალხისთვის წინასაარჩევნოდ, როცა მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი იმავეს აცხადებს. უნდა ითქვას, რომ რუსეთისთვის ეს თემა ბოლო გაფართხალებაა.

– სანქციების გამო რუსეთი მძიმე დღეშია, მაგრამ ბოლო გაფართხალებაზე საუბარი გაზვიადებული არ არის?

– განვმარტავ. რუსეთს უზარმაზარი პრობლემები აქვს უკრაინის, სირიის გამო. რუსეთში შიგნით პუტინს საგრძნობლად შეერყა პოზიციები. მან წააგო გუბერნატორების არჩევნები. გაყალბება უნდოდა, მაგრამ არ გამოუვიდა. პუტინის ფავორიტები დაამარცხეს უბრალო ადამიანებმა.

საქართველოს წინაშე 2008 წელს ჩადენილი მძიმე დანაშაულის გათეთრება რუსეთს ძალიან სჭირდება. ამისთვის კრემლს საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობაზე უნდა რენეგატი. მომავალში რუსეთის ხელისუფლებას მუდმივ სალაპარაკოდ ექნებოდა, რომ 2008 წლის ომზე მის „სიმართლეს“ საქართველოშიც კი იზიარებენ. რუსეთი, რომელსაც ყველა ფრონტზე პრობლემა აქვს, საქართველოს თემას ხავსივით ეჭიდება.

– რუსეთს ამ ნარატივის გავრცელება საერთაშორისო არენაზე გამოადგებოდა. ამ ეტაპზე პუტინმა ამ საკითხზე საკუთარი ხალხის ყურადღების მიპყრობა ცადა.

– ცადა, მაგრამ ვერაფერი მოიგო. ხაბაროვსკის ან სხვა ოლქის ამომრჩეველს აწუხებს საპენსიო რეფორმა, გაჭირვება, საბანკო კრედიტები. მისთვის სულ ერთია, რა ხდება ცხინვალში და რა მოხდა ჩვენთან 2008 წელს.

– აღნიშნეთ, რომ საზოგადოება სხვა თემებმაც გააერთიანა.

– მარიხუანამ და მასთან დაკავშირებულმა ინიციატივებმა ერისა და ბერის გაფთრება გამოიწვია. პროექტის განხილვა შეჩერდა. შვილმოკლული მამების მიმართაც ძალიან უსამართლოდ იქცევა ხელისუფლება. თავიდანვე სულ იმას იმეორებდნენ, შვილმოკლული მამების აქციები პოლიტიკურიაო. როცა მოქალაქე სისტემის მსხვერპლი ხდება და ამას აპროტესტებ, ეს თავისთავად პოლიტიკური აქცია გამოდის. თემირლან მაჩალიკაშვილი სუს-ის სპეცოპერაციას შეეწირა. ამ ოპერაციის მეთაური, სამსახურის მაშინდელი ხელმძღვანელის მოადგილე, გოგაშვილი, თავისიანებს არ ინდობს და სხვას დაინდობდა?

– თავისიანებს არ ინდობს?

– გოგაშვილმა, როცა ბევრი ფული არალეგალურად იშოვა, ქონების დიდი წილი თავისი ცოლისდის სახელზე გააფორმა. არადა, ეს ქალი ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს და თავს კერვით ირჩენს. ნათესავი გაწირა და მაჩალიკაშვილს რას უზამდა? ამ შვილმოკლულ მამებს ხელისუფლება ემუქრება კიდეც.

ახლა მიესალმებიან მარიხუანის პლანტაციებს. ივანიშვილის შპს-ში ამით ვინმე თუ დაზარალდება და ბევრი განარკომანდება, მერე რა? მთავარია, შპს-ს დირექტორი უფრო გამდიდრდეს

– უკმაყოფილებაა საზოგადოების იმ ნაწილში, რომელიც თავს მგზავრების გადაყვანით ირჩენს. მათ 2019 წლის 1 ოქტომბრამდე სთხოვენ ტაქსების თეთრად გადაღებვას, რაც მათ ძვირი უჯდებათ. წვრილმანია, მაგრამ ამ ყოფითმა საზრუნავმა პროტესტი გამოიწვია.

– ეს არ არის წვრილმანი იმ ადამიანისთვის, რომელიც დილით გამოდის იმ იმედით, რომ დღის სამყოფ პურის ფულს იშოვის. ამ ადამიანისთვის ყოველი ლარია მნიშვნელოვანი. მას შეიძლება ავტომანქანის გადაღებვის ფული არ ჰქონდეს. „ქართულ ოცნებას“ ყველაფერი ერთბაშად უკვე აუფეთქდა. ამას ყოველთვის ვვარაუდობდი.

– ხელისუფლება იხტიბარს არ იტეხს. მარიხუანის კულტივაციასაც მიუბრუნდებიან.

– ამ ხალხისაგან ეს არ არის გასაკვირი. ეს ადამიანები მხოლოდ ფულის მოხვეჭაზე არიან გადასული. თუ ადრე ბიძინა ივანიშვილი მხოლოდ „ქართუს“ მფლობელი იყო, ახლა ქვეყანას განაგებს. მისთვის არ არის საინტერესო, ვინ რას იტყვის მასზე და იმაზე, რას დათესავს თავის ბოსტანში.

ასეთი აღვირახსნილი სიტუაცია საქართველოში არ მახსოვს. ივანიშვილისთვის პროტესტი გაუგებარიცაა. ის მიჩვეულია, რომ გარემოცვაში მყოფი მონები ყველაფერს „უპრავებენ“. ეს გარემოცვა ხალხს უკიდურესად აღიზიანებს.

პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ამ მხრივ სხვებს გადაამეტა. ქვეშევრდომები მარიხუანის მოყვანისთვისაც მზად არიან. ადრე მათ ტაში დაუკრეს საყდრისის აფეთქებას. 11-მა ქართველმა რენეგატმა, ე.წ. ექსპერტმა იგნორირება გაუკეთა უცხოელი მეცნიერების დასკვნებს საყდრისის უნიკალურობის შესახებ და მონაწილეობა მიიღო დანაშაულში. ახლა მიესალმებიან მარიხუანის პლანტაციებს. ივანიშვილის შპს-ში ამით ვინმე თუ დაზარალდება და ბევრი განარკომანდება, მერე რა? მთავარია, შპს-ს დირექტორი უფრო გამდიდრდეს.

– გამოდის, რომ გაუთვალისწინებელი მოვლენები მოსალოდნელია?

– რასაკვირველია. ამ ხელისუფლების ბუნება არ იცვლება. რაც უნდა გადააკეთონ 2008 წლის ომზე გაკეთებული განცხადებები, მეორე დღეს იგივე წამოსცდებათ, ხან ერთი იტყვის, რომ ომი საქართველომ დაიწყო, ხან – მეორე.

ამ არჩევნების დაკნინებაც უნდათ. საპრეზიდენტო არჩევნები მნიშვნელოვანია. საზოგადოებამ ზნეობრივი არჩევანი უნდა გააკეთოს. იმ ექსპერტებმა კი, რომლებიც ოპოზიციაზე ირონიულად საუბრობენ, იმაზე იფიქრონ, რომ საქართველოში მოუწევთ ცხოვრება და „ოცნებას“ ყველა უზნეობა არ უნდა მოუწონონ.

კანაფმა მმართველ გუნდში სიტუაცია დაძაბა

გაიწვევენ თუ არა უკან სკანდალურ კანონს

შორენა მარსაგიშვილი

ქვეყნის პირველი კანონმდებელი, შესაძლოა, ისტორიაში, როგორც დიდი მარიხუანოლოგი, ისე შევიდეს. ეკლესიის არაერთი მოწოდებისა და საზოგადოების პროტესტის მიუხედავად, ირაკლი კობახიძე ამბობს, რომ კანონი მარიხუანის კულტივაციის შესახებ გაწვეული არ იქნება.

მთავარი კანონმდებელი იმასაც გვიმტკიცებს, რომ თუ კანაფის პლანტაციებს ავაბიბინებთ, სიღარიბეს 7 წელიწადში დავდებთ ბეჭებზე.

მედიასთან საუბარში მან დააზუსტა, რომ საკანონმდებლო ორგანოდან კანაფის წარმოება-კულტივაციის თაობაზე ინიცირებული კანონპროექტის გაწვევა არ იგეგმება.

კობახიძის თქმითვე, ხელისუფლებამ საპატრიარქოს სთხოვა, ამ საკითხზე გარკვეული კონსულტაციები გაიმართოს. სპიკერი ამბობს, რომ ინფორმაციის გაცვლა აუცილებლად მოხდება.

– ჩვენთვის მთავარია, საზოგადოების ინფორმირება მოვახდინოთ იმასთან დაკავშირებით, თუ რას ითვალისწინებს ცვლილებები. საზოგადოებას არასწორი ინფორმაცია მიეწოდებოდა იმის თაობაზე, თითქოს ცვლილებები ნარკოტიკების წარმოებას ითვალისწინებდა.

ჩვენთვის მნიშვნელოვანი საზოგადოების ინფორმირებაა. კონსულტაციები იქნება და გადაწყვეტილებას ამის საფუძველზე მივიღებთ. არჩევნებიდან გამომდინარე, საკმაოდ რთული სამუშაო რეჟიმი გვაქვს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის გვექნება შესაბამისი დრო, რათა აქტიური კონსულტაციები დავიწყოთ. ამაზე სხვადასხვა დროსა და სეგმენტთან შეხვედრები გაიმართა, თუმცა ინტენსიური კონსულტაციების საშუალებას გრაფიკი როგორც კი მოგვცემს, დავიწყებთ. ამ საკითხზე საუბარი პირადად პატრიარქთან გვქონდა. სურვილი გამოვხატეთ, რომ საქმის კურსში საპატრიარქოს წარმომადგენლები ჩავაყენოთ, თუ რა ინიციატივაზე იყო საუბარი, კონსულტაციები ვითხოვეთ და მათთან შეხვედრა აუცილებლად შედგება, – აღნიშნა კობახიძემ.

ქვეყნის პირველი კანონმდებლის თქმით, დეტალური გათვლები არსებობს, რომ ამ ცვლილებების შედეგად ქვეყანა ძალიან დიდ სარგებლობას მიიღებს.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

უჩა ნანუაშვილი: „რუსთაველზე პროცესები, შესაძლოა, უმართავი გახდეს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

გაყალბებაში იყო ჩართული, დღემდე დაუსჯელია. მკვლელი დღემდე არ არის დაკავებული.

– იმ ფაქტებს გულისხმობთ, რომლებიც საპარლამენტო კომისიამ გამოავლინა?

– რა თქმა უნდა. იქ საუბარია კონკრეტულ ფაქტებზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ დანაშაულიდან დღემდე რამდენიმე თვეა გასული, კონკრეტული შედეგი ჯერ არ დამდგარა. საზოგადოებაში განცდაა, რომ დაუსჯელობის სინდრომი კიდევ უფრო ძლიერდება, ადამიანები ითხოვენ სამართალს და ისინი ვერ აღწევენ ამას. ეს რისკს ზრდის ქვეყანაში.

აქ უფრო სისტემურ პრობლემებზეა საუბარი. როცა სამართალდამცველები არ სჯიან კონკრეტულ სამართალდამცველს, რომელსაც, სავარაუდოდ, დანაშაული აქვს ჩადენილი, დაუსჯელობის განცდა იქმნება.

ეს იმიტომ ხდება, რომ ქვეყანაში სისტემური ცვლილებები არ მომხდარა. სანამ ეს ცვლილებები არ მოხდება, ეს პროცესები კიდევ უფრო გადაიზრდება უმართავ პროცესებში და ეს საგანგაშოა.

– საგამოძიებო კომისიამ გაამართლა თქვენი მოლოდინი? „ოცნება“ ამბობს, რომ კომისიამ პოლიტიკურ ჭრილში გადაინაცვლა. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

– კომისიის დაკომპლექტებისას ჩემი შენიშვნა სწორედ ამ საკითხს უკავშირდებოდა. მხედველობაში მაქვს ის, რომ კომისიის უმრავლესობაში უნდა ყოფილიყვნენ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები.

– რატომ?

– ეს უნდა გაკეთებულიყო იმისთვის, რომ არ დამდგარიყო ის შედეგი, რომელიც დღეს დადგა. უმრავლესობის ყოფნა გამოიწვევდა საბოლოოდ ისეთი დასკვნის დადებას, რომელსაც საპარლამენტო უმრავლესობა მხარს დაუჭერდა. დღეს, უმცირესობა იყო კომისიის უმრავლესობა. მათ მიიღეს ისეთი დასკვნა, რომელიც არ იყო მხარდაჭერილი საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან. პირიქით რომ ყოფილიყო, გაცილებით სხვა შედეგი დადგებოდა.

– ანუ კომისიის დაკომპლექტებისას პრინციპული უზუსტობა იყო?

– რა თქმა უნდა. პროპორციულად პარლამენტის შემადგენლობის წარმომადგენლობა უნდა ყოფილიყო და არა ისე, როგორც იყო. მოხდა ისე, რომ ანგარიში გადაბრალდა ოპოზიციას და წამოვიდა საუბრები პოლიტიზაციაზე და ა.შ.

პოლიტიზაციას რაც შეეხება, მე ყოველთვის ფაქტებით ვსაუბრობ და აქაც ფაქტებით ვისაუბრებ. ფაქტია, გამოძიება არ დასრულებულა, იყო გარკვეული ფაქტები, რომლებიც დაზუსტდა და რეალურად ამაზე რეაგირება, სამწუხაროდ, არ ყოფილა. წავიდა პროცესი მეორე დასკვნისკენ. ეს არის სამწუხარო.

– გვახსოვს წინა მმართველობის დროს გირგვლიანის მკვლელობის საქმე, რომელიც ასეთივე რეზონანსული იყო და ამან წარმოშვა საზოგადოებაში პროტესტი. ამ ხელისუფლების დროს 51-ე სკოლაში მომხდარი ტრაგედია გახდა. ხედავთ ამ ორ საქმეს შორის საერთოს და რა პარალელები შეიძლება გაივლოს?

– გარემოებები მაშინ და ახლა სრულიად განსხვავებული იყო. იყო პრობლემები, რომელთა აღმოფხვრაზეც უნდა ყოფილიყო ორიენტირებული ხელისუფლება. მე ვერ დავინახე, რომ ამ მიმართულებით რამე კონკრეტული ნაბიჯი გადაიდგა. როდესაც დაუსჯელობის სინდრომი ისევ ძალაშია და არ ხდება ინსტიტუციურად დამოუკიდებელი მექანიზმის შექმნა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საქმის ობიექტურ და სამართლებრივ გამოძიებაზე, ეს ხელს უწყობს საქმის კიდევ უფრო გაუარესებას.

ეს უკვე გასცდა საქართველოს საზღვრებს და კიდევ უფრო გასცდება. უფრო დიდი რეზონანსი ექნება, მათ შორის, საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. საქართველოს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს იმიჯი, შეილახება.

– აქამდე პოლიტიკურ პარტიებს არ აძლევდნენ ორგანიზატორები აქციაში მონაწილეობის უფლებას, რომ არ მომხდარიყო თემის პოლიტიზება. 26 სექტემბერს რომ გამოცხადდა, პოლიტიკურ ძალებს ექნებათ შესაძლებლობა, შეუერთდნენ აქციასო, ხომ არ არის საფრთხე, ეს დაპირისპირებაში გადაიზარდოს სამართალდამცველებსა და პროტესტის გამომხატველებს შორის?

– ყველას აქვს უფლება, თავისი აზრი გამოხატოს მშვიდობიანად, მათ შორის, პოლიტიკურ პარტიებსა და ფიგურებსაც. მე ვერ ვხედავ პრობლემას. მთავარია, გამოხატვის ფორმები მშვიდობიანი და კანონის ჩარჩოებში იყოს.

რეალურად სახელმწიფო უნდა იყოს დაინტერესებული, რომ განმუხტოს სიტუაცია და არ იყოს უმართავი პროცესები, იმავე პრევენციის თვალსაზრისით, თუნდაც მაჩალიკაშვილის საქმეში რომ მეტი ყურადღება მიაპყრონ იმ პრობლემებს, რომლებიც ამ სისტემაში არსებობს. სამწუხაროდ, ხელისუფლებისგან ამის მზაობას ვერ ვხედავ, რომ თუნდაც მომავალში აღარ განმეორდეს ასეთი პრობლემები. ისევე, როგორც განმუხტვისკენ გადადგმულ ნაბიჯებსაც ვერ ვხედავ ხელისუფლების მხრიდან. ასეთ რადიკალიზაციას პოზიტიური შედეგი არ მოუტანია. საზოგადოების პოზიცია მნიშვნელოვანია, მაგრამ ხელისუფლებას მეტი მოეთხოვება და მეტი პასუხისმგებლობა აქვს.

– სიტუაციის ესკალაციას ხელს პოლიტიკოსების განცხადებებიც ხომ არ უწყობს? პირველ რიგში პარლამენტის თავმჯდომარის ის განცხადება იგულისხმება, როდესაც მან ამ აქციას ნაციონალური მოძრაობისგან მართული უწოდა. ვნახეთ ბესელიას განცხადებაც სარალიძის მისამართით.

– პარლამენტის თავმჯდომარე ცნობილია თავისი განცხადებებით და მე მასზე კომენტარს აღარ გავაკეთებ. კარგი იქნებოდა, ის იმ მისიას ასრულებდეს, რაც ევალება. ის უნდა იყოს სიტუაციის განმმუხტველი და არა – დაძაბულობის შემტანი. ვნახეთ უკვე მერამდენედ, რომ კობახიძე ასეთ განცხადებებს აკეთებს. ეს არ არის მისასალმებელი, პირიქითაა!

სწორედ ამიტომ ვსაუბრობ ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე. მას უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლობა თითოეულ სიტყვასა და გამონათქვამზე.

„დეკანოზ მამალაძის შეწყალების საკითხი მომავალი პრეზიდენტის განსახილველი იქნება“

თამარ კორძაია: „ეს საქმე სამართლებრივად ჯერ არ დასრულებულა“

ნათია ხურცილავა

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, იურისტი **თამარ კორძაია** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში დეკანოზ გიორგი მამალაძესთან დაკავშირებით შეწყალების კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე საუბრობს.

– ქალბატონო თამარ, დეკანოზ მამალაძეს შეწყალებაზე უარი ეთქვა. პრეზიდენტთან არსებული შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კომისიის წევრებს შორის ამ საკითხზე კონსენსუსი არ შედგა და, შესაბამისად, პრეზიდენტს დადებითი რეკომენდაცია არ მიეცა, რაც პრეზიდენტმა გაითვალისწინა. თქვენ რა მოლოდინი გქონდათ?

– პირველ რიგში თავად კომისიის წევრების მოსაზრებაა საინტერესო. მათ ვალდებულება არ აქვთ, განმარტონ თავიანთი პოზიცია. თუმცა, საინტერესოა, ვინ რატომ მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილება და წინააღმდეგ რატომ მისცა ხმა.

გარდა ამისა, შეწყალება დასრულებული სასამართლო პროცესის შემდეგ ხდება. როდესაც უზენაეს სასამართლოს საქმე არ განუხილავს, გონივრული არ არის ადამიანის შეწყალება. სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებაა, ბოლომდე დაელოდო მართლმსაჯულებას და არ წაართვა შანსი, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღოს.

– მიუხედავად გარკვეული კითხვებისა სასამართლო სისტემის მიმართ?

– რასაკვირველია, მიუხედავად ამისა. მე არ ვენდობი ამ სასამართლო სისტემას, მაგრამ მე ვენდობი დემოკრატიულ პრინციპებს და მათ შორის მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობის იდეას. მე ამ იდეას ვერ დავაზარალებ, ვინაიდან ეს გაცილებით საშიში ტენდენციაა, ვიდრე ის, რომ სასამართლოს ამ შემადგენლობას არ ვენდობი.

– მიუხედავად ყველაფრისა, პრეზიდენტს ხომ აქვს შეწყალების დისკრეციული, ერთპიროვნული უფლება.

– რასაკვირველია! შეწყალების ნაწილში პრეზიდენტს აბსოლუტურად არ აქვს ვალდებულება, ვინმეს რამე აუხსნას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პრეზიდენტმა შინაგანად საკუთარი დასაბუთება არ უნდა მოიპოვოს.

თავისთავად ის ფაქტი, რომ პრეზიდენტმა არ შეიწყალა მამალაძე, არ ნიშნავს, რომ ის იზიარებს იმ პოზიციას, რომელიც სასამართლომ მიიღო.

შეწყალების აქტი სულაც არ გულისხმობს სასამართლოს გადაწყვეტილების გამოსწორებას. პრეზიდენტმა აქ პირველ რიგში შესაწყალებელი ადამიანის მდგომარეობა უნდა გაითვალისწინოს. აქ უამრავი ფაქტორი მუშაობს: რამდენად არის პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე, როგორ იქცევა ციხეში, როგორია მისი დისციპლინა და ა.შ.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, შეწყალების აქტი მაინც არის პრეზიდენტის დისკრეციული უფლება და აქ მთავარი მაინც არ არის, კონკრეტულ შეწყალებას საზოგადოება როგორ აღიქვამს. აქ მთავარია, რომ პრეზიდენტმა ინსტიტუციებს, დემოკრატიულ ღირებულებებს არ უნდა დაარტყას. მე ვფიქრობ, რომ ამ გადაწყვეტილებაში სწორედ ეს არის უმთავრესი.

– თქვენი მოლოდინი როგორი იყო? საზოგადოება ელოდა პრეზიდენტის გადაწყვეტილებას.

– მე არ მქონდა არანაირი მოლოდინი. მე მაქვს მოლოდინი, რომ ბოლოს და ბოლოს ამ საქმეზე სიმართლე უნდა გავიგოთ და ამის უფლება ჩვენ გვაქვს.

– ბოლო ინსტანციას ელოდებით?

– დიახ, რა თქმა უნდა.

– ჩვენ გვაინტერესებდა, რა იყო შეწყალების კომისიის ამ გადაწყვეტილების მოტივი, თუმცა, ლია მუხა შავრიამ გვითხრა, რომ ამ საკითხზე ვერ ისაუბრებდა, როგორც კომისიის წევრი.

– დიახ, კონფიდენციალურია კენჭისყრა და იმიტომ. ისე, ეს კომისია პრეზიდენტის სათათბირო ორგანოა, საბოლოო გადაწყვეტილებას კი პრეზიდენტი იღებს. ის ფაქტი, რომ კომისიამ უარი თქვა, არ ნიშნავს, რომ პრეზიდენტს არ შეუძლია, კომისიის რეკომენდაციის გარეშე შეიწყალოს.

– დეკანოზ მამალაძის შეწყალების საკითხი ამოწურულია?

– ეს არის პროცესი, რომელიც კვლავ დადგება დღის წესრიგში უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, მაგრამ მაშინ უკვე სხვა პრეზიდენტი გვეყოლება. არც შეწყალების კომისია იქნება ამ შემადგენლობით. ეს ცალსახაა.

– ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ვინ იქნება შემდეგი პრეზიდენტი?

– რა თქმა უნდა. შეწყალების აქტი არის პრეზიდენტის უფლებამოსილება.

– რომელიც კონსტიტუციის ახალი რედაქციითაც რჩება პრეზიდენტს.

– რაღაც უფლება ხომ უნდა დარჩეს!

– ვანო მერაბიშვილის შეწყალებასთან დაკავშირებით თქვენი პოზიცია როგორია? მას შეწყალების თხოვნით პრეზიდენტისთვის არ მიუმართავს.

– ეს არის სრული აბსტრაქცია. ამაზე ვანო მერაბიშვილს თავად არ უფიქრია და არ მიუმართავს და პრეზიდენტმა რატომ უნდა იფიქროს, სრულიად გაუგებარია!

– ნაციონალები ითხოვენ.

– მერაბიშვილის სამართლებრივი მდგომარეობა უფრო უკეთ არის, ვიდრე ჩვენ გვგონია. მერაბიშვილმა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში პროცესი მოიგო. მან დაამტკიცა, რომ ხელისუფლებამ მისი უფლება დაარღვია. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტის შეწყალების გარეშეც გამოვა ის ციხიდან. შეიძლება ამიტომაც არ მიმართავს ის პრეზიდენტს შეწყალების თხოვნით.

– მას არ უნდა შეწყალების გზით გამოსვლა?

– დიახ. ის ამბობს, რომ მის მიმართ სახელმწიფომ ადამიანის უფლებები დაარღვია, რისთვისაც პასუხი უნდა აგოს. ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეებმა, უნდა გადავუხადოთ ვანო მერაბიშვილს კომპენსაცია.

საზოგადოება ვანო მერაბიშვილის პასუხისმგებლობას ითხოვდა, რადგან ის არ იყო კარგი შს მინისტრი და პრემიერი. ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეებმა, ვანო მერაბიშვილისთანა ადამიანებს კომპენსაცია უნდა გადავუხადოთ სწორედ ამ ხელისუფლების დამსახურებით. ეს არის სამწუხარო რეალობა.

ლალი აფციაური: „გია თვალავაძე თავს ცუდად გრძნობს და მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა“

„ეს იყო უსამართლო სასამართლო“

ნონა ცაბაძე

გია თვალავაძის დაკავებასთან დაკავშირებით 26 სექტემბერს საღამოს კომენტარი გააკეთა ამერიკაში ვიზიტად მყოფმა დავით სერგეენკომ.

– მე მჯერა, რომ გია თვალავაძე ბუნებით წესიერი კაცია. მინდა, ყველას ვთხოვო, სანამ ის ბრალდებულია და სანამ სასამართლოს არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება, თავი შეიკავოს შეფასებისგან, იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ ვამბობ, გია თვალავაძე წესიერი კაცია და სასამართლო დაადგენს ობიექტურ რეალობას. რა თქმა უნდა, სამინისტროს რეპუტაციაზე ამან იმოქმედა, რადგან მინისტრი ყველაფერზეა პასუხისმგებელი, – განაცხადა სერგეენკომ.

„ახალი თაობა“ გია თვალავაძის ადვოკატ **ლალი აფციაურს** ესაუბრა.

– ქალბატონო ლალი, სასამართლომ არ გაითვალისწინა დაცვის მხარის პოზიცია გირაოსთან დაკავშირებით და თქვენი დაცვის ქვეშ მყოფ გია თვალავაძეს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

– ასევე არ გაითვალისწინეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. 26 სექტემბერს, გვიან ღამით, საპყრობილეში შეყვანისთანავე, მან მიიღო სტენოკარდიული შეტევა, უმძიმეს მდგომარეობაში გადაიყვანეს ჩაფიძის კლინიკაში და ახლაც იქ იმყოფება.

– რა მდგომარეობაა ამჟამად?

– ცხადია, რომ გია თვალავაძე თავს ცუდად გრძნობს. როგორც კლინიკიდან მაცნობეს, მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. არ არის გამორიცხული, მისი სხვა კლინიკაში გადაყვანა გახდეს საჭირო.

– ადრეც ჰქონდა თქვენს კლიენტს გულის პრობლემები თუ მასზე სასამართლოს გადაწყვეტილებამ იმოქმედა?

– არა, ის წლების განმავლობაში მკურნალობდა. ეს დოკუმენტები მე წარვადგინე სასამართლოში და ერთ-ერთი საფუძველი ჩვენი მოთხოვნის, რომ გირაო ყოფილიყო გამოყენებული, სწორედ ეს იყო.

კანონი პირდაპირ ავალდებულებს მოსამართლეს, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დროს მან აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური მდგომარეობა, ნასამართლობა და ასე შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს მოთხოვნა დავაკმაყოფილეთ, ჯანმრთელობის მდგომარეობაზეც ცნობები წარვადგინეთ, პიროვნული მახასიათებლები წარვადგინეთ, უამრავმა ადამიანმა მისცა რეკომენდაცია, თავდებში დაუდგნენ ცნობილი ადამიანები, ექიმები, პროფესორები, აკადემიკოსები და რა ვიცი, ვინ აღარ, სასამართლომ მაინც დატოვა პატიმრობაში. ეს იყო უსამართლო სასამართლო!

– დავით სერგეენკოს ეჭვი არ ეპარება თვალავაძის წესიერებაში. ის აცხადებს, რომ თვალავაძის დაკავებამ იმოქმედა მინისტრისა და სამინისტროს რეპუტაციაზე. მის მიმართაც ხომ არ ექნება გამოძიებას კითხვები?

– მინისტრმა გააკეთა სწორი განცხადება. ათასობით ადამიანი მირეკავს და მე ვერ მოვისმინე ვერც ერთი მოქალაქის, თუნდაც უბრალო ადამიანის აზრი იმის თაობაზე, რომ გია თვალავაძეს შეეძლო, დანაშაული ჩაედინა! ეს არის უწესიერესი, უპატიოსნესი ადამიანი, რომელიც 14 წელი ემსახურა ჯანდაცვის სამინისტროს აბსოლუტურად უანგაროდ. მე ვეთანხმები ბატონ მინისტრს, რომ თვალავაძეს დანაშაული არ აქვს ჩადენილი!

– მაშინ რა მოხდა, ქალბატონო ლალი? წინა ინტერვიუში თქვენ განაცხადეთ, რომ ორი თვე მიმდინარეობდა ამ საქმის ძიება.

– გამოძიების უფლება ყველას აქვს. საფთიაქო ნარკომანია რომაა ქვეყანაში გამეფებული, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ ეს არ მოდის ჯანდაცვის სამინისტროდან და ამას არ მფარველობენ არც ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომლები და არც არავინ.

– მაშინ რა ხდება?

– ეს არის ჩვეულებრივი, მარტივად რომ ვთქვათ, პროვიზორების დონეზე გადაწყვეტილი თემა. შეაქვთ ჩუმად და ყიდიან. უამრავი შეტყობინება ვნახე მე, უამრავი ზარი და რეაგირება ვნახე სამინისტროს მხრიდან. ასევე აფთიაქების გაუქმება, ლიცენზიების გაუქმება, დახურვა აფთიაქების, დაჯარიმება საკმაოდ სოლიდური თანხებით. უამრავმა დოკუმენტმა გაიარა ამ 3 დღეში ჩემს ხელში. ასე რომ, სამინისტრო თავის ფუნქციას ასრულებს კეთილსინდისიერად.

– ითქვა ისიც, რომ 4 მილიონის ღირებულების ფსიქოტროპულები იქნა ამოღებული თვალავაძის კაბინეტიდან.

– ზღაპარია ეგ ყველაფერი! ეგ არის აბსოლუტური სისულელე! სხვას ვერაფერს ვუწოდებ ამ ინფორმაციას. ეს თანხა დაანგარიშდა 20 აფთიაქიდან რეალიზებული მედიკამენტებიდან. როგორც ფსიქოტროპულების, მათ შორის ჩვეულებრივი მედიკამენტების საფასური. აფთიაქები მარტო ფსიქოტროპულებს ხომ არ ყიდიან!

– ანუ ეს 4 მილიონი ამ აფთიაქების შემოსავალი იყო?

– 4 მილიონი არის შემოსავალი ამ 20 აფთიაქის, საიდანაც იხდიდნენ გადასახადებს. ეს სწორედ ის თანხაა და სისულელეა ის, რომ ჯანდაცვის სამინისტროში იყო 4 მილიონის ღირებულების ფსიქოტროპულები!

მე ვფიქრობ, რომ ეს ხალხზე ეფექტის მოსახდენად ნათქვამი სიტყვაა. არასწორად გადაცემული ინფორმაციაა! დოკუმენტებში ასეთ რამეს ვერ ნახავთ. გია თვალავაძეს ბრალი აქვს წარდგენილი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით, სადაც ანგარება არ არის! წარმოგიდგენიათ, რა ხდება, ანგარება საერთოდ არ არის. აბა, რა ინტერესი ჰქონდა თვალავაძეს?! ფულთან კავშირთან გია თვალავაძის ხსენებაც კი არ არის ბრალში. ამიტომ დიდი მარაზმია ის განცხადება, რომელზეც თქვენ მკითხეთ.

– გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებთ ზემდგომ ინსტანციაში. რა მოლოდინი გაქვთ?

– აუცილებლად უნდა გავასაჩივროთ. მოლოდინზე რა გითხრათ, უკვე ისე მაქვს სასამართლოზე გული გატეხილი, რომ მოლოდინიც ნაკლებად მაქვს ობიექტური გადაწყვეტილების. ჩვენ ჩვენი ბოლომდე უნდა გავაკეთოთ და, თუკი უარი იქნება, ეს დოკუმენტები, თავისი ჯანმრთელობის ცნობებით, რაც უპირობო საფუძველი იყო გიას გირაოთი პატიმრობიდან გათავისუფლების, წავა ევროპულ სასამართლოში!

ეს იქნება 2012 წლის შემდეგ პირველი საქმე, ჩემგან წასული ევროპულ სასამართლოში!

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ოცნება“ მარიხუანის თემაზე ეკლესიას აზრს ვერ შეაცვლევინებს“

„ტრამპის პოზიცია ნარკოტიკების ლიბერალიზაციაზე ჩვენი ხელისუფლების პოზიციისგან განსხვავდება“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი **დიმიტრი ლორთქიფანიძე** „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ მარიხუანა პირდაპირ მიბმულია კრიპტოვალუტებთან, კერძოდ, ბიტკოინებთან და მსგავსი სახელწოდების ახალ კრიპტოვალუტებთან, რომელთა ფასი წარმოებული მარიხუანის რაოდენობის პროპორციულია – 1 გრამი უდრის ახალ 1 კანაფისკოინს.

– ბატონო დიმიტრი, მარიხუანის კულტივაციის შესახებ კანონპროექტი ჯერ კიდევ არ გაუწვევიათ, მისი განხილვა მხოლოდ შეჩერებულია. როგორ აფასებთ სიტუაციას?

– სამწუხაროა, რომ ხელისუფლება მკაფიოდ არ აფიქსირებს იმ მოთხოვნაზე რეაქციას, რომელიც უკავშირდება ამ ინიციატივის გაწვევას. რამდენიმე დღის წინ საქართველოს ეკლესიამ მრევლთან ერთად მკაფიოდ დააფიქსირა, რომ არავითარი კონსენსუსი მარიხუანას კულტივაციასთან დაკავშირებით ეკლესიას, საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის არ შედგება და ეს კანონპროექტი პარლამენტიდან უნდა იქნეს გაწვეული.

ამის შესახებ ღიად ითქვა მისი უწმინდესობის ამბიონზე ქადაგების დროს. ასევე მისი ქორეპისკოპოსი მეუფე შიო და ქორეპისკოპოსი მეუფე იაკობი ღიად და მკაფიოდ აფიქსირებენ ეკლესიის პოზიციას, რომ ნებისმიერი მცდელობა, ხალხს თავს მოახვიონ მარიხუანის კულტივაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმა, ჩავარდება და მას მიეცემა ძალიან მკაცრი შეფასება.

– პარლამენტის თავმჯდომარის, პრემიერისა და სხვების განცხადებებიდან ჩანს, რომ მათ იმედი აქვთ, საზოგადოებას აუხსნიან ამ პროექტის მიზნებს, ეკლესიას მოელაპარაკებიან და დაითანხმებენ.

– ირაკლი კობახიძის განცხადება, რომ მარიხუანის შესახებ კანონპროექტი მთავრობას არ გაუწვევია, ნიშნავს, რომ ხელისუფლება უკანდახევას არ აპირებს, დროის მოგებას ცდილობს, რომ განელდეს ტემპერატურა და შემდგომში ახალი გზებითა და საშუალებებით მონახონ გამოსავალი და გააზიარებინონ ეკლესიას მარიხუანის კულტივაციის შესახებ ინიციატივა.

ეკლესიას კი ურყევი პოზიცია გააჩნია. ეკლესია ამ საკითხში უკან არ დაიხევს. ზოგიერთი პოლიტიკოსი აკეთებს განცხადებას, თუ რატომ ერევა ეკლესია საერო საქმეებში. მათ მინდა ვუპასუხო თქვენი გაზეთის საშუალებით – კარგად წაიკითხონ საქართველოს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დადებული კონკორდატი.

კონკორდატში ნათლად და გარკვევით არის მითითებული, რომ ნებისმიერი საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც ეხება ადამიანის უფლებრივ მდგომარეობას, თანაგანხილვადია საქართველოს ეკლესიასთან ერთად. საქართველოს ეკლესია ვერ სარგებლობს ვეტოს უფლებით, მაგრამ მას თავისუფლად შეუძლია ისეთი საკითხებზე თავისი შეხედულებების დაფიქსირება, როგორიც არის, მაგალითად, საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული გარემოებები, მიგრაციული პოლიტიკა, ანტინარკოტიკული პოლიტიკა და პოზიცია საქართველოს პარლამენტს აცნობოს მხედველობაში მისაღებად.

ამიტომ ნებისმიერი პოლიტიკოსი, რომელიც სეკულარიზმის მოშველიებით ცდილობს, ეკლესიის როლი შეასუსტოს საკანონმდებლო კანონშემოქმედებითი საქმიანობის სფეროში, არის უბრალოდ ბეცი, გაუნათლებელი და წარმოდგენა არ აქვს კონკორდატით მინიჭებულ რეალურ უფლებებზე.

– გამორიცხავთ, რომ უფრო მეტი ახსნა-განმარტების შემდეგ ხელისუფლებამ ეკლესია და საზოგადოება დაითანხმოს?

– მე გამოვრიცხავ, რომ ის პრინციპული პოზიცია, რომელიც გამოხატა საქართველოს ეკლესიის რამდენიმე იერარქმა, მღვდელმთავარმა, შეიცვალოს. ეკლესიას ამ საკითხისადმი ურყევი დამოკიდებულება აქვს. ნარკოტიკების კულტივაცია, მისი დათესვა, მოყვანა და წარმოება (რაც თანმდევი პროცესია) საქართველოს ტერიტორიაზე სრულიად გამორიცხულია. ამის შესახებ ეკლესიამ ღიად განაცხადა. არ არსებობს გარემოება, რომელმაც შეიძლება, ეკლესიას პოზიცია შეაცვლევინოს.

– აცხადებენ, რომ მარიხუანის კულტივაცია შიდა მოხმარებისთვის არ მოხდება, უნდათ, საქართველოს საზღვრებს გარეთ გაიტანონ და ამით საქართველოს ბიუჯეტი შეავსონ. მოდით, ვთქვათ, ამას რატომ ვეწინააღმდეგებით?

– აქ არის ორი ასპექტი. პირველი – მარიხუანის კულტივაცია და, შესაბამისად, წარმოება ყოველთვის რისკებთან არის დაკავშირებული.

– რა რისკებთან?

– მოსავლის გარკვეული რაოდენობა შეიწოვება საქართველოს საზოგადოების მიერ, ვინც არის ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი. დღეს საქართველოში დაახლოებით 200 ათასი ნარკოტიკების აქტიური მომხმარებელი გვყავს.

მეორე ასპექტი ისაა, რომ საქართველოს მიმართ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშებში კვლავ არის გამოთქმული დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე კვლავაც უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება ავღანეთიდან ირანის გავლით ევროპისკენ მიმავალი ნარკოტიკული ტვირთების ტრანზიტი.

ანგარიშში აღნიშნულია ის ფაქტიც, რომ საქართველო ნარკოტიკული საშუალებების მიმოქცევის ძალიან აქტიური და სახიფათო ზონაა. შესაბამისად, როდესაც არსებობს განცდა იმისა, რომ მარიხუანის მოხმარება არის ლეგალიზებული, ანუ ქვეყანაში ლეგალურად შეიძლება ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის მოწევა, ამან, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი ნარკომომხმარებლის ყურადღება მიიპყრო მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში.

არის კრიპტოვალუტა კანაფისკოინი. სწორედ ესაა მთავარი ამბავი, რაზეც ჩვენი ხელისუფალნი საერთოდ არ ლაპარაკობენ. კანაფის წარმოება სწორედ კანაფისკოინის ზრდასთან არის დაკავშირებული. ეს არის ჩვეულებრივი ნარკობიზნესი. უნდათ, ეს ნარკობიზნესი საქართველოს ტერიტორიაზე ლეგალიზებული იყოს

– ეს რას ნიშნავს?

– მათ დაიწყეს კონცენტრირება საქართველოს ტერიტორიაზე ჰიდროტეტრაკანაბინოლის მოხმარების მიზნით, რაც იმას ნიშნავს, თუკი ჩვენ აქ მარიხუანის თესვა-კულტივაცია და წარმოებაც გვექნება, მოთხოვნა ერთიასად გაიზრდება. ამიტომ იმის რისკებიც მაღალია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოყვანილი მარიხუანა ადგილობრივ დონეზე იქნეს შეწოვილი და მოხმარებული.

– ანუ რისკები იზრდება?

– დიახ, იმის მაგივრად, რომ რისკებს ვამცირებდეთ, რისკებს ვზრდით და თანაც უტიფრად ვუმტკიცებთ საზოგადოებას, რომ მარიხუანის წარმოება მხოლოდ საგარეო ექსპორტისთვის იქნება განკუთვნილი.

თუნდაც საგარეო ექსპორტისთვის იყოს განკუთვნილი, გამოდის, რომ ჩვენ საკუთარი შვილებისთვის არ გვემეტება, მაგრამ სხვისი შვილებისთვის გვემეტება!

საქართველო არასოდეს ყოფილა მარიხუანის მწარმოებელი ქვეყანა, მათ შორის საბჭოთა კავშირის პერიოდშიც, როდესაც რუსეთსა და ყაზახეთში კანაფისთვის 390 ათასი ჰექტარი ფართობი იყო დათმობილი, რითაც ამზადებდნენ სხვადასხვა მოხმარების ნივთებს. აქედან გამომდინარე, კანაფს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულება გააჩნდა.

თუმცა, საქართველოში ეს კულტურა არასოდეს ყოფილა კულტივირებული. სამაგიეროდ, საქართველოში, როგორც მზის ქვეყანაში, ყურადღება ექცეოდა ფრანგული პარფიუმერიის უმაღლესი წარმომადგენლობითი სკოლისთვის განკუთვნილი ეთერზეთების წარმოებას. ამ მიზნით შექმნილი იყო ძალიან სერიოზული საწარმო „საქეთერზეთები“, რომლის წარმოების ერთ-ერთი მთავარი ქვაკუთხედი იყო ვარდის ზეთის წარმოება.

ვარდის ზეთი, რომელიც ბევრად ძვირი ღირს, ვიდრე კანაფისი, იწარმოება თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში არსებული სპეციალური ვარდის პლანტაციებიდან და საქართველო გასული საუკუნის 80-იან წლებში ძალიან დიდ შემოსავალს იღებდა, რადგან ფრანგულ ფარმაკოლოგიურ კომპანიებთან დიდი კონტრაქტები ჰქონდა გაფორმებული.

– ანუ კანაფი კი არა, ვარდი მოვიყვანოთ?

– დიახ. ძალიან მარტივი მაგალითი მოგიყვანეთ. ვარდის ზეთის გარდა, ნიგვზისა და ნუშის ზეთი არის ძალიან პოპულარული და სასარგებლო. ყველა ის ზეთი, რომლებიც ფარმაკოლოგიაში გამოიყენება, გაცილებით მოთხოვნადი და ძვირია, ვიდრე კანაფისისა.

– მაშინ რატომ არის ასეთი ისტერია კანაფთან დაკავშირებით?

– პირველ რიგში იმიტომ, რომ კომპანია „ფილიპ მორისმა“ დაიწყო სერიული წარმოება თამბაქოს ნაზავისა მარიხუანასთან. ასეთი თამბაქოს ნაწარმი ჩვეულებრივი კოლოფი სიგარეტის სახით იყიდება იმ ქვეყნებში, სადაც მარიხუანა ლეგალიზებულია, ანუ ამას აქვს ძალიან დიდი მარკეტინგული ეფექტი, რაც ძალიან სერიოზულ შემოსავლებთანაა დაკავშირებული

გარდა ამისა, მარიხუანა პირდაპირ მიბმულია კრიპტოვალუტებთან, ბიტკოინებთან და მსგავსი სახელწოდების ახალ კრიპტოვალუტებთან, რომელთა ფასი პროპორციულია წარმოებული მარიხუანის რაოდენობისა. 1 გრამი უდრის ახალ 1 კანაფისკოინს.

– კანაფისკოინი?

– დიახ, არის ასეთი კრიპტოვალუტა კანაფისკოინი. სწორედ ესაა მთავარი ამბავი, რაზეც ჩვენი ხელისუფალნი საერთოდ არ ლაპარაკობენ. კანაფის წარმოება სწორედ კანაფისკოინის ზრდასთან არის დაკავშირებული. ეს არის ჩვეულებრივი ნარკობიზნესი. უნდათ, ეს ნარკობიზნესი საქართველოს ტერიტორიაზე ლეგალიზებული იყოს და ჩვენი ქვეყანა ამ მიმართულებითაც გამოირჩეოდეს, როგორც სახიფათო სოციალური ექსპერიმენტების წარმოების ლაბორატორიული ქვეყანა.

იქ, სადაც ლგბტ-ს პროპაგანდა, ფაქტობრივად, დაშვებულია, იქ, სადაც მარიხუანის მოხმარების ლეგალიზაცია კანონით დაშვებულია. ახლა უნდათ მთავარი – ნარკოტიზაციის კონცეფცია გაატარონ. ყველაფერი დაკავშირებულია კრიპტოვალუტის ბაზრის განვითარებასთან.

– ტრამპმა გაეროს გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდან ნარკოტიკებისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობაზე ისაუბრა.

– ვფიქრობ, ბატონი ტრამპი ამ საკითხში ქართველი ხალხის მოკავშირეა. მან ღიად, დაუნდობლად და ცალსახად ისაუბრა ნეოლიბერალური იდეების წინააღმდეგ, რომლებიც ლგბტიზაციასთან ერთად გულისხმობს ნარკოტიზაციასაც. ტრამპმა ლიბერასტული პედერასტიის წინააღმდეგ ღიად გაილაშქრა. ამ გალაშქრებაში იგულისხმება ნარკოტიკების წინააღმდეგ კამპანიის გაჩაღებაც, რომელშიც ის მოკავშირედ მიიჩნევს ნებისმიერ ქვეყანას, იმ ერისა და სახელმწიფოს წარმომადგენლებს, რომლებიც ნარკოტიკების გავრცელების წინააღმდეგნი არიან. ვფიქრობ, ქართველი ხალხი გახდება ტრამპის ადმინისტრაციის თანამოაზრე.

– ამერიკა, როგორც ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე და მისი ლიდერი ტრამპი როგორ შეაფასებს იმ პროცესს, რაც არის საქართველოში მარიხუანასთან დაკავშირებით?

– ბატონი ტრამპის, როგორც აშშ-ის პრეზიდენტის პერსონალური პოზიცია ნარკოტიკების ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით განსხვავდება ჩვენი ხელისუფლების ოფიციალური პოზიციისაგან. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ აშშ-სა და საქართველოს შორის გაფორმებული სტრატეგიული ქარტია, რომელიც დაიდო 2008 წლის ნოემბერში. სწორედ ამ ქარტიის ფარგლებში უნდა ვთხოვოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, რაც შეიძლება გააძლიეროს ზეწოლა იმ ლიბერალურ ძალებზე, რომლებიც ჩვენი მომავალი თაობის გარყვნა-გათახსირებას ცდილობენ.

– ანუ მიგაჩნიათ, რომ ქართველი საზოგადოება და ეკლესია მედგრად იდგება თავის აზრზე, რომ არ მოხდეს საქართველოს კანაფიზაცია.

– ნამდვილად ასეა.

– საინიციატივო ჯგუფმა, რომელშიც თქვენც შედიხართ, საქართველოს მთავრობის კანცელარიასთან აქცია ჩაატარეთ.

– დიახ, ჩვენმა საინიციატივო ჯგუფმა მოითხოვა ბინადრობის უფლების აკრძალვა. ჩვენ პარლამენტში ალტერნატიული წინადადება შევიტანეთ.

– ხმები მოაგროვეთ?

– 5 ოქტომბერს გვექნება 30 ათასი ხელმოწერა. ასევე 5 ოქტომბერს საქართველოს კანცელარიის წინ დიდ საპროტესტო აქციას ვმართავთ. მათ თვალწინ საქართველოს პარლამენტში შევიტანთ 30 ათას ხელმოწერას და კატეგორიულად მოვითხოვთ ხელისუფლების მხრიდან პოზიციის დაფიქსირებას, ეთანხმებიან თუ არა, რომ 35 ათას დოლარად უნდა მიეცეს უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს ბინადრობის უფლება საქართველოში, რამაც უკვე წამლეკავი ეფექტი იქონია საქართველოს წინააღმდეგ, რაც კულტურულ-ეთნიკური ბალანსის შეცვლის მიზეზი ხდება.

ნარკოტიკებისა და მიგრაციის თემა მეტნაკლებად ერთმანეთშია გადახლართული. მიგრაციის უკანონო ნაკადი, რომელიც ქვეყანაში შემოდის, ნარკოტიკული საშუალებების შემოდინებას იწვევს, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ირანიდან.

– მხოლოდ ირანიდან კი არა, თურქეთიდანაც შემოდის.

– თურქეთიდანაც შემოდის, მაგრამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოდის ირანიდან, რაც არის ოპიუმის ყაყაჩოდან აღებული ზეთი, რომელიც შემდგომში უნდა გადამუშავდეს, რომ იქიდან ოპიუმი მიიღონ, მაგრამ, სანამ გადამუშავდება, სხვადასხვა ქიმიური საშუალების ზემოქმედებით ჩვეულებრივ ნარკოტიკულ საშუალებად იქცევა.

ეს ნარკოტიკული საშუალება გაცილებით იაფი ღირს ირანში, ვიდრე საქართველოში და ძალიან მსუყე ბიზნესია ე.წ. ტურისტებისა, რომლებიც საქართველოში ვითომ ტურისტული მიზნებისთვის შემოდიან.

კანაფმა მმართველ გუნდში სიტუაცია დაძაბა

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– თუ ამას საზოგადოებისთვის ზიანი არ მოაქვს და ეკონომიკისთვის სარგებლობა ძალიან დიდია, ამაზე უარი რატომ უნდა ითქვას? – ეს ჩვენი მთავარი არგუმენტია. ვხედავთ, რომ სერიოზული პრობლემებია ეკონომიკური მონაცემებიდან გამომდინარე და რაც 2012 წელს დაგვხვდა.

ჩვენი ამოცანაა, სიღარიბე აღმოვფხვრათ საშუალოვადიან პერსპექტივაში და, თუ შესაბამისი ინიციატივები იქნება, ამას, შეიძლება, ათი წლის ნაცვლად ექვსი წელი დასჭირდეს. თუ ინიციატივა ზიანის მომტანი არ არის, ამაზე უარი რატომ უნდა ვთქვათ? საუბარია საზოგადოებისთვის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. სწორედ იმიტომ არ ვამბობთ უარს, რომ საზოგადოებისა და საპატრიარქოს ინფორმირება გვინდა იმის თაობაზე, რომ ზიანი არ დგას და, მეორე მხრივ, ეს დიდი სარგებლობის მომტანია. თუ ამაში ერთად დავრწმუნდებით, განხილვის გაგრძელების გადაწყვეტილებას მივიღებთ, – ამბობს ქვეყნის გამდიდრებაზე მეოცნებე კობახიძე.

პარლამენტის ვიცესპიკერი გია ვოლსკი მიიჩნევს, რომ ძალიან სერიოზული შეცდომა იყო დაშვებული, როცა კანაფის წარმოება-კულტივირებასთან დაკავშირებით მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე კომუნიკაცია არ არსებობდა.

კობახიძისგან განსხვავებით, ის კანონპროექტის გაწვევას არ ეწინააღმდეგება და ამბობს, რომ გაწვევას წინ არაფერი უდგას, მაგრამ გაწვევა ინფორმირებული გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა მოხდეს, როცა საზოგადოებას გაწვევის ან არგაწვევის მიზეზებზე სწორი შთაბეჭდილება შეექმნება.

– ისეთი შთაბეჭდილება არ უნდა იყოს, რომ ქვეყანაში გადაწყვეტილებები გარკვეული შეშფოთების საფუძველზე მიიღება, რომელსაც სერიოზული წინაპირობები არ აქვს. შესაძლოა, კანონპროექტი გაწვეული იყოს, მაგრამ ეს ინფორმირებული გადაწყვეტილებების საფუძველზე უნდა მოხდეს და არა ემოციური გამოხატულებებით, რასაც ხელი კომუნიკაციის სერიოზულმა დეფიციტმა და საზოგადოებისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებამ შეუწყო, – განაცხადა ვოლსკიმ.

ამ კანონთან დაკავშირებით საპატრიარქომ მკვეთრად უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა. რამდენიმე მღვდელმთავარი ძალიან რადიკალური იყო. ამის მიუხედავად, „ოცნების“ ზედა ფრთა კანონის უკან გაწვევაზე არ თანხმდება.

ამ საკითხზე მმართველ პარტიაში პოზიციები გაიყო. „ოცნების“ დეპუტატების ერთი ნაწილი აცხადებს, რომ ამ კანონს მხარს არ დაუჭერენ. ღიად ამის თქმა მხოლოდ რამდენიმემ გაბედა. როგორც ამბობენ, დანარჩენებიც მალე ამოიღებენ ხმას და ამან, შეიძლება, გუნდში განხეთქილება გამოიწვიოს.

ნიკოლოზ ნაყოფია: „ბაზარზე იაფფასიანი ოქროს არსებობა დემპინგურ მდგომარეობას ქმნის“

ქვეყანაში კონტრაბანდული გზით ოქროს შემოტანის ხშირი ფაქტები ფიქსირდება. „კომერსანტის“ მიერ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით, 2015-2018 წლებში საქართველოში ჯამში არადეკლარირებული ოქროს შემოტანის 963 ფაქტი დაფიქსირდა.

ბაზარზე არსებულ არაჯანსაღ კონკურენციაზე „კომერსანტს“ კომპანია „ზარაფხანას“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ნიკოლოზ ნაყოფია** ესაუბრა.

– ოქროს კონტრაბანდა რამდენად მასშტაბურია ქვეყანაში და ახდენს თუ არა გავლენას „ზარაფხანაზე“, როგორც მრავალწლიანი გამოცდილების საწარმოზე გავლენას?

– ქვეყანაში კონტრაბანდული გზით შემოტანილი ოქრო ნამდვილად დიდი პრობლემაა. აღნიშნული ჩვენს საფასო პოლიტიკაზე და ბიზნესზე პირდაპირ, უარყოფითად აისახება, რაც რეალურ პრობლემებს გვიქმნის სამეწარმეო საქმიანობაში.

საიუველირო ბაზარზე კონტრაბანდული გზით შემოტანილი ოქროს გარდა, სხვა რიგი პრობლემებია, როგორიცაა არარეგისტრირებული კერძო მეწარმეები და უხარისხო პროდუქცია. მიმაჩნია, რომ ამ მიმართულებით გარკვეული სახის გონივრული და პროპორციული რეგულაციები სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია, თუმცა ბიზნესში მათი მხრიდან ზედმეტი ჩარევა არ უნდა მოხდეს.

„ზარაფხანას“ საუკეთესო ფასის და ხარისხის შეფარდება აქვს, თუმცა, ხშირად გვსმენია, რომ პროდუქცია ძვირადღირებულია. ეს მოსაზრება სტერეოტიპია და ის ბაზარზე სწორედ იაფფასიანი ოქროს არსებობამ გამოიწვია. ამასთან, ჩვენ შემთხვევაში მიმდინარე ხარჯებს გადასახადებიც ემატება და საბოლოო ჯამში, არსებულ საფასო პოლიტიკას ვიღებთ.

– უხარისხო და იაფფასიანი ოქრო ბაზარზე რამდენად არაჯანსაღ კონკურენციას აყალიბებს?

– ბაზარზე იაფფასიანი ოქროს არსებობა დემპინგურ მდგომარეობას ქმნის. ეს არაჯანსაღ კონკურენციას აყალიბებს, რადგან მომხმარებელი ხშირ შემთხვევაში, არჩევანს დაბალფასიან პროდუქციაზე აკეთებს, თუმცა ამას ძალიან ბევრი უარყოფითი მხარე აქვს.

მაგალითად, ხშირია ფაქტები, როდესაც მომხმარებელი გაწბილებული, აბსოლუტურად დაუცველი რჩება და ოქროს ნაცვლად სხვა ლითონს ყიდულობს. ამაზე სახელმწიფოს კონტროლის მექანიზმი აუცილებლად უნდა ჰქონდეს, რათა მომხმარებლის უფლებების დაცვა უზრუნველყოს.

„ზარაფხანას“, როგორც საიუველირო ქარხანას, პირდაპირი კონკურენტი არ ჰყავს. ბაზარზე ერთადერთი მსხვილი მწარმოებელი კომპანიაა, რომელიც ოქროს კომერციალიზაციაში შესაბამისი ზუსტი სინჯით უშვებს.

მისი წარმოების პროცესი უპრეცედენტოა – ეს ხარისხის კონტროლი და კეთილსინდისიერებაა. სხვანაირად წარმოუდგენელია იარსებობაზარზე უწყვეტი 80 წლიანი გამოცდილებით. აღნიშნულ პრინციპებზე დაყრდნობით დღეს ბიზნესში ძალიან ცოტა კომპანია თუ მოიძებნება.

– თქვენ ბიზნესში სახელმწიფოს როლი მნიშვნელოვან ფაქტორად მიგაჩნიათ. დღეს სახელმწიფო ოქროს კონტრაბანდას რამდენად საფუძვლიანად აკონტროლებს?

– ამ კითხვაზე პასუხს თავად თქვენს მიერ მოძიებული ინფორმაცია და ციფრები იძლევა. ამ კუთხით სახელმწიფო თავის მოვალეობას ნამდვილად ასრულებს, მაგრამ აქ საუბარია არა კონტრაბანდის, როგორც დანაშაულის ან დანაშაულებრივი გზების გამოვლენაზე, არამედ მის აღმოფხვრაზე სახელმწიფოს მიერ დამატებითი ბერკეტების შექმნის გზით.

სამწუხაროდ, მოტყუებული ადამიანების რიცხვი საკმაოდ დიდია და ამას ყოველდღიურად ჩვენი თვალით ვხედავთ.

„ზარაფხანის“ მიერ წარმოებული თითოეული ნაკეთობა სპეციალურ კონტროლს გადის. ამისათვის სპეციალური სამსახური და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლაბორატორია გვაქვს, რაც მომხმარებლის ინტერესისა და უფლებების მაქსიმალური დაცვის გარანტია და შესაბამისად პრეტენზიას, ფაქტობრივად, გამორიცხავს.

– კონტროლის მიმართულებით რეგულაციების თემა ახსენეთ. როგორ ფიქრობთ, ასეთ დროს ხისტი პოლიტიკა რამდენად მომგებიანია ბიზნესისთვის?

– ჩვენ ხისტი რეგულაციების მომხრე არ ვართ, რადგან ვთვლით, რომ სახელმწიფო ბიზნესში მინიმალურად უნდა ერეოდეს. თუმცა, რაც შეეხება რეგულაციების არსებობას რადგან ეს ბიზნესი ფაქტიურად უკონტროლოა, მასზე კონტროლი გარკვეული სახით საჭიროა. სახელმწიფოს ჩარევა ამ მიმართულებით საჭიროა და მათი ყველა ნაბიჯი გონივრული უნდა იყოს ისევ და ისევ მომხმარებლის უფლებების დაცვის მიზნით.

– ბაზარზე კონკურენტი არ გყავთ და ეს თავადაც აღნიშნეთ, თუმცა, საქართველოში ბევრი უცხოური საიუველირო კომპანია საკუთარი ნიშით გამორჩეულია. მათ როგორ უწევთ კონკურენციას?

– საქართველოში საიუველირო ბიზნესი რამდენიმე ნაწილისგან შედგება და მათ შორის ვართ ჩვენც. როგორც თქვენ აღნიშნეთ, საქართველოში ბევრი იმპორტიორი საიუველირო კომპანიაა წარმოდგენილი ხოლო, ზარაფხანა ფართო სპექტრის ბიზნესია და მოიცავს წარმოების სრულ ციკლს – პროდუქციის წარმოებიდან მისი საცალო ქსელში რეალიზაციით.

„ზარაფხანას“ სხვა საიუველირო კომპანიებიდან სრულიად განსხვავებული პროდუქცია და საკუთარი ნიშა გამოარჩევს. ჩვენს ნაკეთობებში გამოყენებულია უძველესი ქართული საიუველირო ხელოვნების ელემენტები და მაქსიმალურად ხელს ვუწყობთ ქართული ხელოვნების ნიმუშების პოპულარიზაციას. ჯანსაღი კონკურენცია პროგრესული ბიზნესის სტიმულატორია, თუმცა, უძველესი ქართული საოქრომჭედლო ხელოვნების და თანამედროვე ტექნოლოგიების შერწყმა ზარაფხანას მუდმივად ლიდერის პოზიციაზე აყენებს.

– ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ „ზარაფხანას“ მაღალი საფასო პოლიტიკა აქვს. რა განსაზღვრავს თქვენს ფასს?

– მიმაჩნია, რომ ჩვენი ფასი ლოიალურია. მოგეხსენებათ, ოქროს ფასი მსოფლიოში ლონდონის ბირჟაზე დგინდება. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვცდილობთ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სტაბილური საფასო პოლიტიკა შევინარჩუნოთ.

მეტსაც გეტყვით, ნებისმიერ ქვეყანაში ჩვენს პროდუქციას არსებულზე გაცილებით მეტი ღირებულება ექნებოდა. ამიტომ მიმაჩნია, რომ ეს აზრი არასწორია. „ზარაფხანის“ ნაკეთობები არა მხოლოდ სამკაულია, არამედ მის უკან მთელი ისტორიაა, რომელიც თაობებს გადაეცემა და აქტუალურობას არასოდეს კარგავს.

გაძვირებული აუდიტორული მომსახურება საქართველოს საფონდო ბირჟიდან კომპანიების გასვლის მიზეზი ხდება

საქართველოს საფონდო ბირჟის სისტემა 27 სექტემბერს კიდევ 16 კომპანიამ დატოვა.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, რატომ გადაწყვიტეს ბიზნესსუბიექტებმა საფონდო ბირჟაზე აქციებით ვაჭრობის შეწყვეტა. თუმცა საფონდო ბირჟის ლისტინგიდან (ვაჭრობიდან) მოხსნილმა კომპანიებმა ვრცელი კომენტარის გაკეთება არ ისურვეს.

16 ბიზნესსუბიექტიდან „კომერსანტს“ მცირე კომენტარი მხოლოდ 4-მა კომპანიამ მისცა.

საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემის ლისტინგიდან სს თბილისის მე-4 პურის ქარხნის აქციები ვაჭრობიდან გუშინ მოიხსნა. საწარმოს ხელმძღვანელი მალხაზ დოლიძე „კომერსანტთან“ განმარტავს, რომ მისი ბიზნესისთვის საფონდო ბირჟაზე ვაჭრობა ფინანსურად წამგებიანი იყო:

– სრული უფლება მაქვს, ეს გადაწყვეტილება მივიღო. ფინანსურად ეს საკითხი აღარ მაინტერესებს, თანაც შეიცვალა აუდიტის მომსახურების წესები. მეტს ვერაფერს გეტყვით, – აცხადებს დოლიძე.

საფონდო ბირჟიდან გავიდა „თბილისის ცირკი“. კომპანიის მფლობელმა მზია პატარკაცაშვილმა „კომერსანტს“ განუცხადა, რომ ამ ფაქტის შესახებ ინფორმაცია არ აქვს და, შესაბამისად, ვერც მიზეზებზე ისაუბრებს.

27 სექტემბერს მოიხსნა ლისტინგიდან „თბილხელსაწყოს“ აქციები. კომპანიის დირექტორი ჯემალ ბეჟანიშვილი „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ ბირჟიდან გასვლის მიზეზი კომპანიის ფასიან ქაღალდებზე დაბალი ინტერესი იყო:

– იმიტომ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება, რომ კომპანიის აქციები ბირჟაზე 20 წლის წინ განვათავსეთ და მოთხოვნა არ ყოფილა. ამიტომ კომპანიის აქციებით ვაჭრობამ საფონდო ბირჟაზე აზრი დაკარგა.

სს „საქფეთქმრეწვში“ აცხადებენ, რომ კომპანიამ აქციებით ვაჭრობაზე უარი იმიტომ თქვა, რომ ეს ფინანსურად მომგებიანი არ იყო: „აუდიტის მომსახურება გაძვირდა. მეტს ვერაფერს ვიტყვი“.

როგორც „კომერსანტისთვის“ კონფიდენციალურად გახდა ცნობილი, 16 კომპანიიდან უმეტესობას ფინანსური დოკუმენტაცია არ ჰქონდა წესრიგში და მათი საფონდო ბირჟის ლისტინგიდან გარიცხვა მოხდა.

„კომერსანტი“ შეეცადა, საკითხი უფრო დეტალურად გაერკვია და საქართველოს საფონდო ბირჟას შეკითხვით მიმართა, თუ რამ გამოიწვია ლისტინგიდან 16 კომპანიის გასვლა.

თუმცა „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ „კომერსანტს“ განუცხადეს, რომ ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ფარესაშვილი ადგილზე არ იმყოფებოდა და, შესაბამისად, კომენტარს მოგვიანებით გააკეთებდა.

„კომერსანტმა“ შექმნილი ვითარების შეფასება საბროკერო კომპანია „კავკასრეესტრის“ ყოფილ მფლობელ ვახტანგ სვანაძეს სთხოვა. რომელიც კომპანიების საფონდო ბირჟიდან გასვლის ორ მიზეზს ასახელებს:

– მიზეზია ის, რომ გამკაცრდა აუდიტორების მოთხოვნები, რისი არანაირი საჭიროებაც არ არსებობდა. მაგრამ ეროვნული ბანკის რეგულაციებში მოხდა ცვლილება. მოთხოვნა დადგა იმ წრეზე აუდიტორების, რომელმაც მიიღო ექსკლუზიური უფლება საბირჟო ემიტენტების აუდიტზე, შესაბამისად, აუწიეს ფასი და, ფაქტობრივად, ზოგიერთი ემიტენტისთვის ეს გახდა ფორმალური მიზეზი, რომ ბირჟიდან გასულიყვნენ რეალური მიზეზია დღევანდელი საფონდო ბირჟის ხელმძღვანელობის და ეროვნული ბანკის დღევანდელი ხელმძღვანელობის სურვილი, რომ საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი გახდეს მცირე.

სვანაძის შეფასებით, მიზანმიმართულად ხდება საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვებული ფასიანი ქაღალდების და ემიტენტების შემცირების სტიმულირება:

– ეს, ფაქტობრივად, ნიშნავს, რომ თანდათანობით საფონდო ბირჟაზე უფრო და უფრო ცოტა კომპანია ივაჭრებს. უფრო შემცირდება ფასიანი ქაღალდების ბაზარი და შესაბამისად უფრო გაიზრდება ფინანსური სექტორის სხვა მიმართულებები. ეს არის მიზანმიმართული პოლიტიკა ფასიანი ქაღალდების ბაზრის წილის შემცირებისა. არ ხდება ხელის შეწყობა, რომ რაც შეიძლება მეტმა ემიტენტმა მოინდომოს ფასიანი ქაღალდის გამოშვება.

რაც შეეხება აუდიტის დასკვნას, სვანაძის შეფასებით, თუ ემიტენტს უნდა ინვესტიციების მოზიდვა, ის აცხადებს უფრო ძვირ აუდიტს:

– ეს რეგულაციები არ არის სწორად გამოყენებული. ხელოვნურად არის შექმნილი პირობები, რომ ემიტენტებმა დატოვონ საჯარო სავაჭრო სივრცე, რადგან, საფონდო ბირჟის გარდა, სხვა გამჭვირვალე სისტემა არ არის. სხვა ყველა არის ნაცრისფერი ბაზარი. ინვესტორს არ უნდა სურდეს მონაწილეობა მოუწესრიგებელი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. პირიქით, უნდა ცდილობდეს რაც შეიძლება მეტი ემიტენტი იყოს დაშვებული საფონდო ბირჟაზე. უნდა იყოს ლიკვუდური ფასიანი ქაღალდები. დღეს ეს არ ხდება და არასაბირჟო გარიგებების წილი უფრო მაღალია.

2018 წლის 3 სექტემბრის მდგომარეობით, სსბ-ის სავაჭრო სისტემაში 64 კომპანიის ფასიანი ქაღალდი იყო დაშვებული, 16 კომპანიის გასვლის შემდეგ კი რაოდენობა 48-მდე შემცირდება.

„რეგულაციების 2020 წლისთვის გადადებაც კარგი იქნებოდა“

– სესხების გაცემაზე ახალი რეგულაციების შემოღება საბანკო სექტორს შეიძლება არ მოსწონს. ნებისმიერ შემთხვევაში გამკაცრება არავისთვის არ არის სასურველი, თუმცა მისი შემოღება გარკვეულწილად აუცილებლობით იყო გამოწვეული.

ამის შესახებ „ხალიკ ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა განაცხადა.

ნიკოლოზ გეგუჩაძის განმარტებით, ახალი რეგულაციების ტექნიკური საკითხების დახვეწის მიმართულებით მოლაპარაკებები ეროვნულ ბანკთან გრძელდება.

– ბანკებისთვის უმჯობესია უფრო ლიბერალური მიდგომა, თუმცა ეროვნულ ბანკს აქვს საკუთარი ხედვა. რეგულაციების შემოღება იმისთვის იყო საჭირო, რომ ჭარბვალიანობა არ გამხდარიყო სერიოზული პრობლემა ქვეყნისთვის, – აღნიშნა გეგუჩაძემ.

მისი თქმით, რეგულაციების შედეგად მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს სესხებზე წვდომა აღარ ექნება, თუმცა მისივე განმარტებით, ეს სწორედ ის სეგმენტია, რომელთაც მომავალში საბანკო ვალდებულებები ტვირთად აწვებათ.

– მოსახლეობის გარკვეულ რაოდენობას გაუჭირდება სესხის აღება, თუმცა ეს სწორედ იმისთვის ხდება, რომ მომავალში არ შეექმნათ სერიოზული პრობლემა. ჩვენ რომ გვკითხოთ, ამ რეგულაციების 2020 წლისთვის გადადებაც კარგი იქნებოდა, თუმცა რეგულატორს აქვს თავისი ხედვა საკითხთან დაკავშირებით და ბევრად მეტი ინფორმაცია საფინანსო სექტორში მიმდინარე პროცესებზე, – აღნიშნა ნიკოლოზ გეგუჩაძემ.

როგორც ცნობილია, 2018 წლის 1-ლი ნოემბრიდან კომერციული ბანკებისთვის ძალაში შედის „ფიზიკურ პირებზე სესხების გაცემის შესახებ დებულება„, რომელიც ეროვნულმა ბანკმა მოამზადა. ახალი რეგულაციების მიხედვით, ბანკებს მსესხებლის გადახდისუნარიანობის დეტალურად შესწავლის ვალდებულება ექნებათ. ასევე, ამ დებულებით განსაზღვრულია, თუ რა მოცულობის თანხის გადახდა მოუწევთ ყოველთვიურად მსესხებლებს საკუთარი შემოსავლიდან გამომდინარე.

BPN

„მერე იქ ბიძინამ შეკრიფა ეგენი და ვანომ უნდა ვთქვაო ამ კაცის სახელიო და მერე ქუმსიშვილს უთხრა, შენ ხარ პ...ჭიო“

„ომეგას“ საქმეზე ახალი ჩანაწერი გავრცელდა

„ომეგა ჯგუფის“ საქმეზე „კურიერს“ წყარომ მორიგი აუდიოჩანაწერი მიაწოდა.

ჩანაწერში სიგარეტის ბაზრის მსხვილი მოთამაშეების კონფიდენციალური საუბარია ასახული და მთავარი ფიგურანტი ამჯერად ბიძინა ივანიშვილია.

თუ მანამდე გავრცელებულ ჩანაწერებში „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მხოლოდ გაკვრით იყო ნახსენები, ამჯერად თბილისის თამბაქოს დამფუძნებელი, ირაკლი ჩუბინიშვილი, „ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებელ ზაზა ოქუაშვილთან საუბარში იხსენებს კონკრეტულ ქეისს, რომელიც სწორედ ბიძინა ივანიშვილის გავლენით დალაგდა და რომლის გამოც, როგორც ჩანს, ყოფილი პრემიერი მისივე თანაგუნდელს, დიმიტრი ქუმსიშვილს დაუპირისპირდა.

გთავაზობთ აუდიოჩანაწერის სრულ გაშიფრულ ვერსიას:

„ირაკლი ჩუბინიშვილი – ბიძინამ მითხრაო რო ამასო შენო რო უყურებთო დიმასო, დიმაო შვილივით მიყვარსო, ჩემი შვილივით არიო და ეგრე ნუ ელაპარაკებიო. ნუ ეხლა ეგ ლაპარაკი ცუდად დამთავრდა მარა ქუმსიშვილს რო ეტყვი ხალხში რო ჩემი შვილი ხარ! ის კაროჩე წავიდა კაბინეტში და დაჯდა და იფიქრა მე ამ კაცის შვილი ვარ, ამათი ყველასი დედა მო... გააგიჟა რა თვითონ იმხელა პანამოჩიები მისცა რო ამან გარეკა რა. ის კინაღამ გააგდო ქუმსიშვილმა, იქ ერთი იქ ერთი წესიერი კაცია

ზაზა ოქუაშვილი – ჭკვიანური რამე თქვა და....

ირაკლი ჩუბინიშვილი – არა იქ ერთი წესიერი კაცია და მაგან ხო რა გააკეთა?! მაგან გამოაწერინა ჩვენ წინაალმდეგ ჯარიმა 26 მილიონი ლარი დააწერინა პროექტი და მოამზადა პირდაპირ რა და იმან პროსტა შიგნით ნახა რა სამინისტროში და დაგვირეკა ჩვენ რა და თქვა კაროჩე რო მიხედეთო ესო რაღაცას აპირებსო და მე ვანოს ვუთხარი და მერე იქ ბიძინამ შეკრიფა ეგენი და ვანომ თქვა უნდა ვთქვაო ამ კაცის სახელიო რა აბა ეხლა საიდან იცის პონტი და მერე ქუმსიშვილს უთხრა შენ ხარ პ... ჭიო დააჯარიმე და ფაქტზე დადე და შენი ნებართვით არ აკეთებდაო?! და იქ გაუდეს მაგაში, და იქ უყვირია ის ვინ გითხრა ვინ გითხრა დაა... მერე დაურეკია ამ ბიჭისთვის სამინისტროში მაღალ თანამდებობაზე და შენ რატო უთხარი იმასო?! ამან თქვა მე რაც უნდა გამეკეთებინა ის გავაკეთეო როცა ინდუსტრიას შეეხე ვისაც ეხებოდა იმას ვუთხარიო აბა როგორო მოუმზადებლად გინდაო კაროჩე თავს დაესხაო და ისე, ეგრე სად არიო?! ეხლა კიდე ღვთის მადლით წავიდა ქუმსიშვილმა კინაღამ კაცი გამოგვიგდო იქიდან.

ზაზა ოქუაშვილი – ეხლა ბოლოს მოხდა ეგ კიდე?

ირაკლი ჩუბინიშვილი – აი ეგ მოხდა თებერვალში, თებერვალში მოხდა, ჩვენ სულ მაგ იმაში ვიყავით, ეხლა ყოველ ჯერზე ხო არ მოგიყვები, სულ გვიტევენ რა ორი თვე არ გავიდოდა რო რაღაცა მორიგი.

ესეც მიქონდა ბოლოს, აი ესეც მიქონდა თან გვიტევდა“.

რუსთავი 2

„ომეგა ჯგუფის“ სკანდალური საქმე – პროკურატურამ ამავე ჰოლდინგში შემავალი კომპანიების დირექტორების დაკითხვა დაიწყო

ОМЕГА OMEGA

პროკურატურამ „ომეგა ჯგუფში“ შემავალი კომპანიების დირექტორების გამოკითხვა დაიწყო. გუშინ, 27 სექტემბერს, თბილისის პროკურატურაში მივიდა ომეგა 2-ის დირექტორი.

გიორგი ქურდაძის განცხადებით, გამოძიებასთან ითანამშრომლებს და მის ხელთ არსებულ ყველანაირ ინფორმაციას მიაწვდის.

– შევალ, გავესაუბრები. ვნახოთ, რა იქნება. ყველაფერი რაც საჭირო იქნება იმისთვის, რომ გამოძიება წარიმართოს, ნორმალურად ყველაფერს მივაწვდით, – განაცხადა გიორგი ქურდაძემ.

ომეგა ჯგუფის ადვოკატ გიორგი ფანცულაიას განცხადებით, იქნება ყველა იმ ადამიანზე საუბარი, რომლებიც ფიგურირებენ სკანდალურ ჩანაწერებში.

– იქნება იმ ადამიანებზეც საუბარი, რომლებსაც ჰქონდათ ამ საქმესთან დაკავშირებით შემხებლობა და შესაძლოა, რომ გამოძიებამ დაადგინოს, რომ ეს შემხებლობა არც ისეთი კანონიერი იყო. რა თქმა უნდა ეს გამოძიების დასადგენია, მაგრამ ჩვენი მხრიდან აუცილებლად მაქსიმალურად ვითანამშრომლებთ ამასთან დაკავშირებით.

თქვენ მოისმინეთ იმ ჩანაწერებში, რომ უშუალოდ მოლაპარაკება, როგორც ხედავდით, მოდიოდა და აწარმოებდა ლევან ყიფიანი, მაგრამ იმ ჩანაწერების ავთენტურობის დადგენის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, უნდა გამოიკვეთოს ის, რომ ლევან ყიფიანი, რომელიც აწარმოებდა ამ მოლაპარაკებას, ვისი სახელით აწარმოებდა.

იქიდან გამომდინარე, რომ ლევან ყიფიანი არის კერძო პირი. მას არ აქვს ძალაუფლება, რომ არც დავალიანება გადაუვადოს ომეგა ჯგუფს. არც იმის ძალაუფლება არ აქვს, აქციზური მარკები მისცეს თუ არა და ა.შ. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, უნდა გამოიკვეთოს ყველა დაინტერესებული პირი, – განაცხადა გიორგი ფანცულაიამ.

მოგვიანებით გიორგი ქურდაძემ თბილისის პროკურატურაში გამოკითხვაზე უარი თქვა და განაცხადა, რომ სურს სასამართლოში გამოიკითხოს.

გუშინვე პროკურატურაში მივიდა „ომეგა ჯგუფში“ შემავალი კომპანია „ომეგა მოტორსის“ დირექტორი ლელი აბულაძე.

მანაც საკუთარი უფლება გამოიყენა და სურვილი გამოთქვა, დაკითხვა სასამართლო სხდომაზე მოსამართლის თანდასწრებით მოხდეს.

– ომეგა ჯგუფის ხელმძღვანელობა კანონმორჩილი მოქალაქეები არიან და გამოცხადდნენ საგამოძიებო ორგანოში. თითოეული მათგანი აფიქსირებს პოზიციას, რომ მზად არიან, ითანამშრომლონ გამოძიებასთან და მიაწოდონ ყველა ინფორმაცია, რომელიც გააჩნიათ მათ და რომელიც ხორციელდებოდა ამ კომპანიის და ტელევიზიის წინააღმდეგ. მაგრამ ისინი იყენებენ მათთვის მინიჭებულ უფლებას და აცხადებენ, რომ სურთ მათი გამოკითხვა მოხდეს სასამართლოში მოსამართლის თანდასწრებით. სავარაუდოდ, ისინი სასამართლოში უახლოეს დღეებში დაიკითხებიან, – აღნიშნა გიორგი ფანცულაიამ.

სკანდალი ჯანდაცვის სამინისტროში

ლუგარის ლაბორატორიის შესახებ მინისტრისა და აშშ-ის საელჩოს მიმოწერა რუსეთში აღმოჩნდა

ხელისუფლება კიდევ ერთ საერთაშორისო სკანდალში ეხვევა – ჯანდაცვის მინისტრისა და ამერიკის საელჩოს მიმოწერა, რომელიც თბილისში რიჩარდ ლუგარის სახელობის ლაბორატორიის საქმიანობას შეეხებოდა, მოსკოვში აღმოჩნდა.

ოკუპანტმა ქვეყანამ მინისტრ სერგეენკოს წერილები პროპაგანდისტულ იარაღად აქცია.

– საგანგაშოც და სიახლეც არის ის, რომ ამ შემთხვევაში ეს კონსპირაციები ეყრდნობა იმ დოკუმენტებს და წერილებს, რომლებიც გაიჟონა ჯანდაცვის სამინისტროდან და ეს არ არის მხოლოდ ოფიციალური დოკუმენტაცია, ეს არის პირადი მიმოწერა, ელექტრონული მიმოწერა მინისტრსა და სხვა პირებს შორის, – ამბობს „მედიის განვითარების ფონდის“ მკვლევარი სოფო გელავა.

როგორც გელავა აცხადებს, სამინისტროდან, პირადი მიმოწერის გარდა, ასევე გაჟონა აშშ-დან გამოგზავნილმა დახურულმა წერილებმა.

– თვითონ ეს წერილები და დოკუმენტები, რასაც ჟურნალისტი იყენებს მასალაში, ცალკე აღებული კონსპირაციას ვერ ამტკიცებს და არ არის დაკავშირებული იმ მითებთან, რასაც ის ლუგარის ლაბორატორიაზე ავრცელებს, თუმცა პრობლემა არის ის, რომ ასეთი მნიშვნელობის დოკუმენტაცია თუ მართლა ჟონავს ჯანდაცვის სამინისტროდან, ეს არის გამოსაძიებელია და სამინისტრომ ამის წინააღმდეგ უნდა მიიღოს ზომები, – განაცხადა სოფო გელავამ.

ჯანდაცვის სამინისტროში დოკუმენტაციის გაჟონვის საკითხზე კომენტარი არ გაკეთებულა.

ადვოკატი გაბუნია: „დიმიტრი ქუმსიშვილი ლევან ყიფიანის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას ითხოვს“

„ოცნების“ ყოფილი მინისტრები ერთმანეთს დაერივნენ

დიმიტრი ქუმსიშვილის ადვოკატი, დიმიტრი გაბუნია, მთავარ პროკურატურას მიმართავს. ის სპორტის ყოფილი მინისტრის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნის დაწყებას ითხოვს.

საუბარია რუსთავი 2-ის ეთერში გასულ ჩანაწერებზე, სადაც ლევან ყიფიანი დიმიტრი ქუმსიშვილის გვარს ახსენებს.

დიმიტრი გაბუნია აცხადებს, რომ ქუმსიშვილი აუდიოჩანაწერში ნახსენებ ფაქტებს აბსოლუტურად ემიჯნება და ჩანაწერების ავთენტურობის დადგენის შემთხვევაში ყიფიანის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას ითხოვს.

– დიმიტრი ქუმსიშვილის პოზიცია არის შემდეგი, რომ მან რამდენიმე დღის წინაც დააანონსა, რომ ჩვენ ვიწყებთ სამართლებრივ ბრძოლას და ეს არის ერთ-ერთი ნაბიჯი იმ სამართლებრივი ბრძოლის ნაწილის და ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ საქართველოს მთავარი პროკურატურისგან, დაუყოვნებლივ იქნეს დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნა ლევან ყიფიანის მიმართ, თუ დადასტურდა ეს ჩანაწერები, ავთენტურობა, ბუნებრივია, ამ შემთხვევაში და ის მზად არის, ხვალვე გამოცხადდეს საგამოძიებო უწყებაში, მისცეს შესაბამისი ჩვენება, – განაცხადა ადვოკატმა.

გახარია: „დიდი ხანია, ლონდონში არ ვყოფილვარ და დიდი სიამოვნებით ჩავალ“

შს მინისტრი ლონდონის სასამართლოსთან ითანამშრომლებს“

შს მინისტრი ლონდონის სასამართლოში გამოცხადებას აპირებს. კითხვაზე ჩავა თუ არა გიორგი გახარია ლონდონში, თუკი მას „ომეგა ჯგუფის“ საქმესთან დაკავშირებით ბრიტანული სასამართლო გამოიძახებს, გახარია პასუხობს, რომ ლონდონში დიდი ხანია არ ყოფილა და აუცილებლად ჩავა.

გარდა ამისა, შს მინისტრი ფიქრობს, რომ ყველა კითხვას, რომელიც საზოგადოებაში მაღალჩინოსნების მიმართ ჩნდება, შესაბამისმა ორგანოებმა კითხვები უმოკლეს დროში უნდა გასცენ.

– დიდი ხანია, ლონდონში არ ვყოფილვარ, ერთი ექვსი წელია და დიდი სიამოვნებით ჩავალ.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, როდესაც არსებობს ეჭვები, განსაკუთრებით ჩინოვნიკებთან დაკავშირებით რა თქმა უნდა შესაბამისმა უწყებებმა უნდა იმოქმედონ კანონის სრული დაცვით და რაც შეიძლება სწრაფად. იმისათვის, რომ გაურკვეველ კითხვებს გაეცეს შესაბამისი პასუხები, – ამბობს მინისტრი გახარია.

საუბარია „ომეგა ჯგუფის“ სარჩელზე, რომლითაც კომპანიამ ლონდონის სასამართლოს მიმართა.

როგორც კომპანიის ბრიტანელმა ადვოკატმა განაცხადა, ლონდონის სასამართლოს წინაშე თავის მართლება, ივანიშვილთან ერთად, გიორგი გახარიას, დიმიტრი ქუმსიშვილს, ნოდარ ხადურს, ლევან ყიფიანსა და ანზორ ჩუბინიძეს მოუწევთ.

საქმე ეხება აუდიო ჩანაწერებს, საიდანაც ირკვევა, რომ „ომეგა ჯგუფს“ წილების გადანაწილებას და თანხებს სთხოვდნენ.

ჩანაწერში ყოფილი და მოქმედი მაღალჩინოსნები ფიგურირებენ.

აუდიოჩანაწერის მიხედვით, თითოეული გაყიდული კოლოფი სიგარეტიდან 2,5 თეთრი „ქართულ ოცნებაში“ მიდიოდა.

გავრცელებულ ჩანაწერებზე გამოძიება დაწყებულია, ჯერჯერობით მისი ავთენტურობა დადასტურებული არ არის.

პირი, რომელიც დედაზე სისტემატურად ძალადობდა, სასამართლომ დამნაშავედ ცნო

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, დედის მიმართ სისტემატურ ძალადობაში ბრალდებული დამნაშავედ იქნა ცნობილი

„გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ოჯახში ძალადობაში ბრალდებული შ.ბ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით.

წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ წარსულში, განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლევი და პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი შ.ბ., წლების განმავლობაში, სისტემატიურ სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა დედას– ნ.ბ.-ს, რომელსაც 2018 წლის 16 ივლისს, გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში, თავის საცხოვრებელ ბინაში, სახისა და თავის არეში რამდენჯერმე დაარტყა ხელი, ასევე რკინის ნივთი ჩაარტყა ხელებსა და ზურგში. აღნიშნულმა ქმედებებმა ნ.ბ.-ს ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა გამოიწვია.

სამართალდამცველებმა შ.ბ. 2018 წლის 16 ივლისს, გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში დაიკავეს. მას წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ბრალდება (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური სიტყვიერი შეურაცხყოფა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა) და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ შ.ბ.-ს სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად 3 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

პოროშენკო: „რუსეთი კლავს, ანგრევს და იტყუება, როდესაც ამბობს, რომ უკრაინა, ისევე, როგორც საქართველო, თავის თავს თვითონ დაესხა“

– რუსეთი იტყუება, როდესაც ამბობს, რომ უკრაინა, ისევე, როგორც საქართველო, თავის თავს თვითონ დაესხა.

ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ გაეროს გენერალური ასამბლეის 73-ე სესიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

– უკრაინამ სუვერენული გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც დემოკრატიულ ღირებულებებსა და წესებს ეფუძნება. რუსეთი უკრაინას ზუსტად ამის გამო სჯის. რუსეთი კლავს. რუსეთი სახლებს ანგრევს. რუსეთი იტყუება. რუსეთი იტყუება, როდესაც ამბობს, რომ უკრაინა, ისევე, როგორც საქართველო თავის თავს თვითონ დაესხა, – განაცხადა პეტრო პოროშენკომ.

მისივე თქმით, „გაერო ჩუმად არ უნდა იყოს, როდესაც გაეროს წესდებაში არსებული ღირებულებები და პრინციპები ირღვევა იმ ქვეყნის მიერ, რომელსაც ვეტოს უფლება აქვს“.

– არაფერი გააჩერებს მოსკოვს თავისი აგრესიული, ექსპანსიური პოლიტიკის გატარებისას, თუ მის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით არ გამოვა საერთაშორისო თანამეგობრობა, თუ სასჯელი გარდაუვალი არ გახდება. შესაბამისი სასჯელის არარსებობამ გამოიწვია ის, რომ საქართველოს შემდეგ უკრაინის ჯერი დადგა, ლიტვინენკოს შემდეგ – სკრიპალის, ხოლო ალეპოს შემდეგ – იდლიბის, – განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა.

ტრამპს პუტინთან შეხვედრა კვლავ სურს

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ პუტინთან შეხვედრა კვლავ სურს. ჟურნალისტებთან საუბარში მან თქვა, რომ ყველა სადავო საკითხი რუსეთთან მოლაპარაკებებით უნდა გადაწყდეს.

ჟურნალისტის შეკითხვას, როგორ უყურებთ იმას, რომ რუსეთმა სირიას უახლესი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი მიაწოდა, ტრამპმა არ უპასუხა.

ამავე დროს, როგორც ცნობილია, აშშ-ის პრეზიდენტმა ისრაელს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა.

ამავე დროს, აშშ ახლო აღმოსავლეთიდან რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების გატანას აპირებს. ამის თაობაზე „ვაშინგტონ პოსტი“ იუწყება.

– დაგეგმილია პეტრიოტის სისტემის რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსების გატანა ბაჰრეინიდან, კუვეიტიდან, იორდანიიდან, – იტყობინება გაზეთი.

რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსების გატანა უკვე მიმდინარე წლის ოქტომბრიდან დაიწყება.

უკრაინიდან უნგრეთის კონსულს გააძევებენ

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი კლიმკინი თავის უნგრელ კოლეგა სიიეტროს შეხვდა. მოლაპარაკებები ფრიად დაძაბულ ვითარებაში წარიმართა.

კლიმკინმა უნგრეთის მიერ იმიერკარპატისპირეთის მოსახლეობისათვის პასპორტების დარიგებას საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევა უწოდა. უკრაინელმა მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა უკრაინის შიდა საქმეებში ჩარევა.

სიიეტრომ პასუხად განაცხადა, რომ იმიერკარპატისპირეთში ბევრი უნგრელი ცხოვრობს. ოფიციალური ბუდაპეშტიც მათ შევიწროებას არ დაუშვებს.

– როგორც ჩანს, უნგრეთის კონსულს უკრაინის დატოვება მოუწევს, – თქვა კლიმკინმა.

ნიგერიაში წყალდიდობის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 199-მდე გაიზარდა

ნიგერიის ოთხ შტატში წყალდიდობის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 199-მდე გაიზარდა.

ქვეყნის საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, დაშავებულია ათასზე მეტი ადამიანი.

18 სექტემბერს ნიგერიის მთავრობამ ოთხ შტატში წყალდიდობის შედეგად ეროვნული კატასტროფის შესახებ გამოაცხადა.

ქვეყნის მასშტაბით დახმარების გაწევის ხუთი ცენტრი გაიხსნა. მთავრობამ დაზარალებულთათვის სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით 8,2 მილიონი აშშ დოლარი გამოყო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სელაპმა თეთრ ზვიგენს ეშმაკობით აჯობა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ტურისტებმა ვიდეოზე გადაიღეს სელაპისა და დიდი თეთრი ზვიგენის შეხვედრა.

ვიდეორგოლი ერთ-ერთმა თვითმხილველმა ქალაქ დურბანის მახლობლად საზღვაო გასეირნების დროს გადაიღო. სელაპი გემის მახლობლად თამაშობდა წყალში, როდესაც მის გვერდით დიდი თეთრი ზვიგენი გამოჩნდა.



ზღვის ცხოველი უფრო ახლოს მიცურდა გემთან და ისე მანევრირებდა, რომ მუდმივად მტაცებელი თევზის უკან ყოფილიყო. შედეგად ზვიგენმა ვერაფრით მოახერხა სელაპზე თავდასხმა და იძულებული გახდა, იმ ადგილს გაშორებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

ნათელა სამუშია: თმა საშინლად მცვიოდა. გამოვიყენე ლამარა თოდუას თმის სავლებები. ერთ თვეში კარგი შედეგი მომცა. მკურნალობას აუცილებლად გავაგრძელებ.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ქალთა პირველი ნაკრები უდანაკარგოდ მიიწევს

ბათუმში მიმდინარე საჭადრაკო ოლიმპიადის მესამე დღის შემდეგ მეტ-ნაკლებად გამოიკვეთა კონტურები, თუ რომელ გუნდს რისი შესაძლებლობა გააჩნია.

საქართველოს ქალთა პირველი გუნდი რომ მედლებისთვის იბრძოლებს, აქედანვე ნათელია. მესამე დღეს ჩვენი გუნდის მეტოქე საფრანგეთი იყო. მართალია გამარჯვება იოლად არ მოსულა, მაგრამ ჩვენი გუნდი ჯერ ქულადაუკარგავად აგრძელებს ბრძოლას.

ფრანგებთან ნანა ძაგნიძე მარია სებაგს დაუზავდა, ბელა ხოტენაშვილი – პაულინ გუშარს, მერი არაბიძე – სოფი მილეს, გამარჯვების მომტანი ქულა ნინო ბაციაშვილის ანგარიშზეა, რომელმაც ალმირა სკრიპნიჩენკო დაამარცხა.

საქართველო მე-2 გუნდი ესპანეთს დაუზავდა და აქაც საქმე ქართველმა „გაგვიფუჭა“. დაზავდნენ ინგა ჭარხალაშვილი და მარტა გარსია მარტინი, ასევე სოფიკო ხუხაშვილი და მონიკა რუისი, მოიგო სალომე მელიამ, რომელმაც საბრინა გუტიერესი დაამარცხა, მაგრამ მარცხი გაინიცადა სოფიო გვეტაძემ, ვისი მეტოქეც გაესპანელებული ანა მათნაძე იყო. საბოლოოდ, 2:2

საქართველოს მე-3 გუნდმა კი, ბრაზილია გაანადგურა. ნინო ხომერიკმა ჯულიანა ტერაუ დაამარცხა, თამარ ესაძემ – კატი ლიბრელატუ, დიანა ლომაიამ – ანა ვიტორია დე პაულა, ხოლო ლილე ქორიძე ყაიმს დასჯერდა ჯულია ალბორედოსთან.

ვაჟთა შორის საქართველო პირველმა გუნდმა 3:1 სძლია მონღოლეთს. ბაადურ ჯობავამ სუმია ბოლგუუნს მოუგო, ხოლო ივან ჩეპარინოვმა ნამკაი ბატულგა დაამარცხა. ლევან ფანცულაიამ და დავით ჯოჯუამ ყაიმები გააფორმეს გომბოსურენ მუნხგალთან და ურტნასან ნასანჯარგალთან.

დაძაბული გამოდგა ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტის, რუსეთის გუნდისა და საქართველოს მეორე ნაკრების შეხვედრა, რომელშიც ჩვენმა მეტოქეს ქულით იმარჯვა – 2,5:1,5.

სერგეი კარიაკინმა პირველ დაფაზე, იან ნეპომნიაშჩიმ მეორეზე და ნიკიტა ვიტიუგოვმა მეოთხეზე ყაიმი ითამაშეს და მხოლოდ 43 წლის დიდოსტატმა ვლადიმირ კრამნიკმა მოიგო. მსოფლიოს ექსჩემპიონმა, რომელიც ოლიმპიადების სამგზის გამარჯვებული გახლავთ, შავი ფიგურებით სძლია ირაკლი ბერაძეს.

საქართველო მე-3 გუნდმა ნიკარაგუა გაანადგურა: ნოე თუთისანმა, ლუკა ობოლაძემ და გიორგი სიბაშვილმა მოიგეს, ხოლო ნიკოლოზ პეტრიაშვილმა ყაიმი ითამაშა.

მამაკაცთა ტურნირის ფავორიტებისთვის წარმატებული გამოდგა, რადგან რეიტინგის მოწინავე სამეულიდან ყველამ გაიმარჯვა: ამერიკელებმა დაუმარცხებლად მიმავალ ჰოლანდიელებს, ჩინელებმა კი ასევე მშვენივრად მოასპარეზე პერუელებს ერთნაირი ანგარიშით – 3:1 სძლიეს, რუსებზე უკვე გითხარით.

შთამბეჭდავად მოიგო საფრანგეთის ოთხეულმა: მაქსიმ ვაშიე-ლაგრავმ, ეტიენ ბაკრომ და კრისტიან ბაუერმა ალჟირელი მოწინააღმდეგეები დააშამათეს, ლორენ ფრესინემ კი ადლანე არაბთან გაიყო ქულა.

ქალთა რეიტინგის ლიდერი რუსეთი, რომელიც მეორე ტურში მოულოდნელად დამარცხდა უზბეკეთთან, მალაიზიის ნაკრებთან მატჩს მთელი გულისყურით მოეკიდა და გაიმარჯვა: ალექსანდრა კოსტენიუკმა, ალექსანდრა გორიაჩკინამ, ვალენტინა გუნინამ და ოლგა გირიამ მოწინააღმდეგეებს შანსი არ დაუტოვეს – 4:0.

ოლიმპიადის კიდევ ერთმა ფავორიტმა უკრაინამ რუმინეთთან 3:1 გაიმარჯვა. რეიტინგის მესამე საფეხურზე მდგარმა ჩინეთმა კი, 3,5:0,5 აჯობა კუბის ოთხეულს.

ინდოეთის ნაკრები, რომელმაც საწყის ორ ტურში უდანაკარგოდ გაიმარჯვა, სერბეთთან მხოლოდ ქულას დასჯერდა – 2:2.

ინდოეთის ნაკრების მსგავსად, საწყის 2 ტურში უდანაკარგოდ გაიმარჯვა აზერბაიჯანმაც, რომელმაც ამჯერად ინგლისელთა ოთხეულს 3:1 მოუგო.

მესამე ტურში ისევ მშვენივრად იასპარეზა ვიეტნამმა. აზიელებმა ლიტველებს 3,5:0,5 სძლიეს და შემდეგ ტურში საქართველოს პირველი გუნდის მეტოქე იქნება.

საქართველოს ქალთა პირველი ნაკრები ლიდერთა შორის არის. ტურნირზე 12 ქულადაუკარგავი ნაკრებია და მათ შორის ჩვენებიც, მაგრამ დამატებითი მაჩვენებლით მხოლოდ მე-4 ადგილზეა. საქართველო მე-2 გუნდი 5 ქულით მე-13 ადგილზეა, ამდენივე ქულით საქართველო მე-3 გუნდი მე-19 პოზიციას იკავებს.

ვაჟთა შორის საქართველოს პირველ გუნდს 5 ქულა აქვს და 25-ე ადგილი უჭირავს. რაც შეეხება მე-2 და მე-3 გუნდებს, მათ 4-4 ქულით შესაბამისად 34-ე და მე-40 ადგილები უკავიათ.

სერია ა-ში ახალი ლევანდოვსკი გამოჩნდა

იტალიის სერია ა ახალი დაწყებულია, მაგრამ უკვე გამოჩნდა ფეხბურთელი, რომელიც კრიშტიანუ რონალდუს, გონსალო იგუაინს, ლორენცო ინსიენიეს, მაურო იკარდის, ჩირო იმობილესა და ანდრეა ბელოტის ზემოდან გადმოჰყურებს. ბევრმა შესაძლოა იფიქროს, აქ მარტო კრიშტიანუს ზემოდან ყურებაც საკმარისიაო, მაგრამ ჩამონათვალში ყველა ისეთი ფეხბურთელია, რომელიც სერია ა-ს ბომბარდირობისთვის იბრძოლებს. მაშ ვინ არის ისეთი, რომელიც 6 ტურის შემდეგ ცნობილ გოლეადორებს დაჰყურებს?

კრშიშტოფ პიატეკი, ჯენოას ფეხბურთელი, რომელსაც უკვე 6 გოლი აქვს გატანილი. საიდან გაჩნდა? პოლონური ექსტრაკლასიდან და წელს პირველ სეზონს ატარებს აპენინებზე.

იტალიაში ჩასვლამდე სამშობლოში ზაგლებესა და კრაკოვიას ღირსებას იცავდა. გასულ სეზონში თავი 35 თამაშში 21 გოლით კი გამოიჩინა, თითქოს ბევრი ვერაფერი შედეგია, ამასთან, პოლონეთში, მაგრამ აგერ იტალიაშიც არ ისვენებს...

კრშიშტოფ პიატეკს უკვე აქვს მეტსახელი – ახალი ლევანდოვსკი. თანამემამულეს აღნაგობით წააგავს კიდეც, ფიზიკურად ძლიერია, არც ტექნიკა დაეწუნება და არც ფორვარდისთვის მთავარი, საგოლე ალღო.

იტალიური მედია წერს, რომ 23 წლის ფეხბურთელი, რომელსაც წელს პოლონეთის ნაკრებშიც ჰქონდა დებიუტი, უკვე მოხვდა ბარსელონის თვალთახედვის არეში.

ამ საკითხზე თავად პოლონელმა გააკეთა კომენტარი და მოკრძალებულად აღნიშნა, არ მჯერა, რომ ბარსელონას ვაინტერესებო. ვნახოთ, როგორ გაგრძელდება ახალ ლევანდოვსკის საფეხბურთო კარიერა.

რონალდუ ერთ მატჩს გამოტოვებს

უეფას სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, ტურინის იუვენტუსის თავდამსხმელი კრიშტიანუ რონალდუ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩში მიღებული წითელი ბარათის გამო ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

შეგახსენებთ, რომ ვალენსიასთან სტუმრად ჩატარებულ შეხვედრაში, რომელიც იუვენტუსის გამარჯვებით (2:0) დასრულდა, პორტუგალიელმა თავდამსხმელმა 29-ე წუთზე წითელი ბარათი მიიღო. მატჩის მთავარმა არბიტრმა ფელიქს ბრიხმა რონალდუ ასისტენტის კარნახის შემდეგ მეტოქე გუნდის მცველ ჯეისონ მურილიოსთან საკამათო ეპიზოდის გამო გააძევა.

მაშინვე გამოითქვა ვარაუდი, რომ ბრიხის გადაწყვეტილება უსამართლო იყო და უეფას სადისციპლინო კომიტეტი რონალდუს მკაცრად არ დასჯიდა.

მართლაც, უეფამ პორტუგალიელი ფეხბურთელის წინააღმდეგ დამატებითი სანქციები არ მიიღო და ის ჩემპიონთა ლიგაში მხოლოდ მომდევნო შეხვედრას გამოტოვებს, რომელსაც იუვენტუსი 2 ოქტომბერს შინ იანგ ბოიზთან ჩაატარებს.

სამაგიეროდ, კრიშტიანუს უფლება ექნება, თავისი ყოფილი გუნდის, მანჩესტერ იუნაიტედის, წინააღმდეგ, 23 ოქტომბერს „ოლდ ტრაფორდზე“ ითამაშოს.

ვიდეორეფერის უეფაც გამოიყენებს

ჩემპიონთა ლიგას და საერთოდ უეფას ტურნირებს ეშველა. როგორც ევროპის მთავარმა საფეხბურთო როგანმ დააანონსა, უეფა ჩემპიონთა ლიგის მატჩებში ვიდეოგამეორებების სისტემის დანერგვას აპირებს.

ევროპული ფეხბურთის მთავარ ტურნირზე ეს ინოვაცია მომდევნო სეზონიდან დაინერგება, ოღონდ – ახალი სეზონის საკვალიფიკაციო პლეი ოფის ეტაპიდან. ეს გადაწყვეტილება ნიონში გუშინ უეფას აღმასკომზე მიიღეს.

ასევე ცნობილი გახდა, რომ ვიდეოგამეორებები გამოჩნდება უეფას სუპერთასის მატჩში 2019 წელს და 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე, 2020-21 სეზონში ევროპა ლიგაზე და აგრეთვე 2021 წელს ერთა ლიგის გადამწყვეტ მატჩებში.

ალეკსანდერ ჩეფერინი, უეფას პრეზიდენტი:

– ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ვიდეორეფერის სისტემის შემოღება 2019 წლის აგვისტოდან ხელს შეუწყობს ფეხბურთის განვითარებას. მანამდე კი ამ სისტემის სრულყოფა მოხდება, ასევე დასრულდება მატჩის მომსახურე ოფიციალური პირების გადამზადება, რათა მსოფლიოს მოწინავე საკლუბო პირველობაზე, როგორიც ჩემპიონთა ლიგაა, ტექნოლოგია მაქსიმალურად ეფექტური გამოდგეს.

როგორც იცით, აქამდე ვიდეოგამეორებები 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გამოიყენებოდა. ვიდეორეფერის სისტემა 2017-18 წლების სეზონიდან მოქმედებს ბუნდესლიგასა და სერია ა-ში, ახალი სეზონიდან კი ესპანეთის პრიმერა დივიზიონშიც დაიწყეს. ინგლისსა და საფრანგეთში ახალი ტექნოლოგია, ჯერჯერობით, მხოლოდ სათასო მატჩებში გამოცადეს.

შედეგები

26 სექტემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. ღიგის თასი

არსენალი-ბრენტფორდი	3:1
ვესტ ჰემი-მაკსფილდი	8:0
ლივერპული-ჩელსი	1:2
ნოტინგემი-სტოკი	3:2
ტოტენჰემი-უოტფორდი	2:2(4:2პ)

ესპანეთი. ჰრიმეხა დივიზიონი

ბილბაო-ვილიარეალი	0:3
ლეგანესი-ბარსელონა	2:1
ვალენსია-სელტა	1:1
სევილია-რეალი	3:0

სატუნინიო ცხრილი:

1.ბარსელონა	6	4	1	1	17:7	13
2.რეალი	6	4	1	1	12:6	13
3.ატლეტიკო	6	3	2	1	8:4	11
4.სევილია	6	3	1	2	13:6	10
5.ალავესი	5	3	1	1	8:5	10
6.ესპანიოლი	6	3	1	2	6:4	10
7.სელტა	6	2	3	1	11:9	9
8.ვილიარეალი	6	2	2	2	5:3	8
9.სოსიედადი	6	2	2	2	9:9	8
10.ხირონა	5	2	2	1	7:8	8
11.ხეტაფე	5	2	1	2	4:4	7
12.ეიბარი	6	2	1	3	5:7	7
13.ბილბაო	5	1	3	1	7:9	6
14.ბეტისი	5	1	3	1	3:5	6
15.ვალენსია	6	0	5	1	4:6	5
16.ლევანტე	5	1	1	3	8:11	4
17.ლეგანესი	6	1	1	4	6:11	4
18.რაიო	5	1	1	3	5:12	4
19.უესკა	6	1	1	4	6:16	4
20.ვალიადოლიდი	5	0	3	2	3:5	3

გერმანია. ბუნდესლიგა

ფორტუნა-ლევერკუზენი	1:2
დორტმუნდი-ნიურნბერგი	7:0
გლადბახი-აინტრახტი	3:1
მაინცი-ვოლფსბურგი	0:0
ლაიპციგი-შტუტგარტი	2:0(1:0)

სატუნინიო ცხრილი:

1.ბაიერნი	5	4	1	0	12:3	13
2.დორტმუნდი	5	3	2	0	15:3	11
3.ვერდერი	5	3	2	0	10:6	11
4.ჰერტა	5	3	1	1	10:7	10
5.გლადბახი	5	3	1	1	10:7	10
6.ვოლფსბურგი	5	2	2	1	8:7	8
7.მაინცი	5	2	2	1	4:3	8
8.ლაიპციგი	5	2	2	1	8:8	8
9.ჰოფენჰაიმი	5	2	1	2	9:8	7
10.ფრაიბურგი	5	2	1	2	8:9	7
11.ლევერკუზენი	5	2	0	3	5:9	6
12.აუგსბურგი	5	1	2	2	7:8	5
13.ფორტუნა	5	1	2	2	5:6	5
14.ნიურნბერგი	5	1	2	2	4:10	5
15.აინტრახტი	5	1	1	3	6:9	4
16.ჰანოვერი	5	0	2	3	4:9	2
17.შტუტგარტი	5	0	2	3	3:9	2
18.შალკე	5	0	0	5	2:9	0

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

მაგდებურგი-დუისბურგი	3:3
ზ.პაული-პადერბორნი	2:1
აუე-ზანდჰაუზენი	0:2
რეგენსბურგი-ჰაიდენჰაიმი	2:1

იტალია. სერია ა

უდინეზე-ლაციო	1:2
ატალანტა-ტორინო	0:0
ჯენოა-კიევო	2:0
კალიარი-სამდორია	0:0
ნაპოლი-პარმა	3:0
რომა-ფროზინონე	4:0
იუვენტუსი-ბოლონია	2:0

სატუნინიო ცხრილი:

1.იუვენტუსი	6	6	0	0	13:4	18
2.ნაპოლი	6	5	0	1	12:7	15
3.ლაციო	6	4	0	2	9:6	12
4.ფიორენტინა	6	3	1	2	12:5	10
5.სასუოლო	5	3	1	1	12:8	10
6.ინტერი	6	3	1	2	8:5	10
7.სპალი	5	3	0	2	4:4	9
8.ჯენოა	5	3	0	2	9:10	9
9.სამპდორია	6	2	2	2	9:3	8
10.რომა	6	2	2	2	11:9	8
11.უდინეზე	6	2	2	2	7:6	8
12.პარმა	6	2	1	3	6:8	7
13.ატალანტა	6	1	3	2	9:8	6
14.ტორინო	6	1	3	2	5:7	6
15.კალიარი	6	1	3	2	4:7	6
16.მილანი	4	1	2	1	7:7	5
17.ემპოლი	5	1	1	3	4:6	4
18.ბოლონია	6	1	1	4	2:7	4
19.ფროზინონე	6	0	1	5	0:16	1
20.კიევო	6	0	2	4	5:15	-1

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

იტალია. სერია ბ

კრემონეზე-კოზენცა	2:0
ფოჯა-პადოვა	2:1

საფრანგეთი. 1 ღიგა

ამიენი-რენი	2:1
ბორდო-ლილი	1:0
დიჟონი-ლიონი	0:3
კაენი-მონპელიე	2:2
მარსელი-სტრასბურგი	3:2
ნიმი-გენგამი	0:0
პსჟ-რეიმსი	4:1

სატუნინიო ცხრილი:

1.პსჟ	7	7	0	0	24-6	21
2.ლიონი	7	4	1	2	13-6	13
3.მარსელი	7	4	1	2	19-13	13
4.ლილი	7	4	1	2	11-6	13
5.მონპელიე	7	3	3	1	8-6	12
6.სტ.ეტიენი	7	3	3	1	8-9	12
7.ტულუზა	7	3	2	2	8-10	11
8.ანჟე	7	3	1	3	9-9	10
9.დიჟონი	7	3	1	3	9-9	10
10.ბორდო	7	3	1	3	10-11	10
11.ნიცა	7	3	1	3	6-9	10
12.ნიმი	7	2	3	2	13-13	9
13.სტრასბური	7	2	2	3	11-11	8
14.რეიმსი	7	2	2	3	4-9	8
15.ამიენი	7	2	1	4	10-12	7
16.კაენი	7	1	4	2	9-11	7
17.რენი	7	2	1	4	9-12	7
18.მონაკო	7	1	3	3	8-9	6
19.ნანტი	7	1	2	4	7-12	5
20.გენგამი	7	0	1	6	4-17	1

მოამზადა მანუელ ყორჟოლიანმა

მამლუქებმა ქართველებს ორი მედლით აჯობეს



საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობა 1 ოქროს, 1 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედლით დაასრულა და გუნდურ მე-3 ადგილზე გავიდა. ეს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში საუკეთესო შედეგია. ასეთივე შედეგი საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე აჩვენა.

თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ეს საუკეთესო მსოფლიო ჩემპიონატი იყო. აშკარად მეტს ველოდით. ტედი რინერის არყოფნაში გურამ თუშიშვილის ჩემპიონობას ბევრი სპეციალისტი წინასწარმეტყველებდა და ასეც მოხდა. არც ვარლამ ლიპარტელიანის ვერცხლი იყო გასაკვირი. მეტ-ნაკლებად შედეგს ამირან პაპინაშვილიც აჩვენებს დიდ ტურნირებზე, ამიტომ მოულოდნელობად ვერც მის ბრინჯაოს მივიჩნევთ, მაგრამ...

დარჩენილი 6 ძიუდოისტიდან აშკარად ჩააგდეს მსოფლიო პირველობა ვაჟა მარგველაშვილმა (66 კგ), ლაშა შავდათუაშვილმა (73) და ბექა ღვინიაშვილმა (90). სამივე სპორტსმენს, საქართველოს პირველი ნომრობის გარდა, პრეტენზია გაცილებით მაღალ რეიტინგზე აქვთ. ამიტომაც იყო, რომ მათგან მედალს ველოდით. მარგველაშვილი ევროპის ჩემპიონია, შავდათუაშვილი ოლიმპიური ოქროსა და ბრინჯაოს მედლის მფლობელი, ღვინიაშვილი კი აგერ უკვე რამდენი ხანია პერსპექტიულ ძიუდოისტად და წონის ლიდერად ითვლება, მაგრამ ჯერ შედეგს ვერ დებს.

ვერაფერი გააწყო ვერც უშანგი მარგიანმა, რომელმაც წინა მსოფლიოზე ბრინჯაოს მედალი აიღო, ასევე მალევე გამოეთიშნენ ტურნირს ზებედა რეხვიაშვილი და ლუხუმ ჩხვიმიანი.

არადა, ამ დროს, ქართველმა ძიუდოისტებმა, რომლებიც სხვა ქვეყნის სახელით გამოდიოდნენ, 5 მედალი აიღეს – 1 ოქროს, 2 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოსი.

გიორგი ზანთარაია გალში დაბადებული ძიუდოისტია, რომელიც უკრაინის სახელით ასპარეზობს და საკმაოდ ცნობილი სპორტსმენია. მას მსოფლიო ჩემპიონატებზე 1 ოქრო, 1 ვერცხლი და 3 ბრინჯაო ჰქონდა მოპოვებული. ამ მსოფლიო ჩემპიონატზეც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

25 წლის ვედატ ალბაირაკი იგივე ვანო რევაზიშვილი მსოფლიოს ჩემპიონატზე თურქეთის სახელით გამოვიდა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

რობერტ მშვიდობაძე რუსეთის სახელით ასპარეზობდა. ის 29 წლის ძიუდოისტია ქალაქ გორიდან. მას ეს მსოფლიო ჩემპიონატი წარმატებული გამოუვიდა, ნახევარფინალში ამირან პაპინაშვილს შეხვდა, სადაც მისი დამარცხებით ფინალში გააღწია, თუმცა იქ იაპონელ ნაოშისა ტაკატოსთან ვერაფერი გააწყო. მართალია, 29 წლის სპორტსმენისთვის ეს პირველი მედალი გამოდგა მსოფლიო ჩემპიონატზე, მაგრამ მის შედეგს არ აკნინებს.

აზერბაიჯანის სახელით მოასპარეზე 26 წლის უშანგი კოკაური მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა, სადაც თუშიშვილს დაუპირისპირდა, მასთან ორთაბრძოლაში ვერაფერი გააწყო და ვერცხლს დასჯერდა.

და მთავარი: ესპანეთის სახელით მოასპარეზე ნიკოლოზ შერაზადიშვილი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ის უკვე ესპანეთის გმირია, რადგან პირველი მამაკაცია, რომელმაც ამ ქვეყნის სახელით მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. მას ისეთმა სპორტსმენმაც მიულოცა გამარჯვება, როგორიც კალათბურთელი პაუ გასოლია. მეტიც, მადრიდთან ახლოს, ქალაქ ბრუნეტეში, ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი მიენიჭა. შერაზადიშვილზე ესპანეთში ბევრი იწერება და მასზე შემდეგში გიამბობთ.

უფრო მოკლედ რომ შევაჯამოთ, ჩვენმა „მამლუქებმა“ 2 მედლით მეტი მოიპოვეს, ვიდრე საქართველოს ნაკრებმა ჯამში...

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ლია წერილი ბიძინა ივანიშვილს

ჩვენი პატრიარქი ბრძენი ადამიანია. მან ბრძანა, რად გვინდა ისეთი ეკონომიკა, თუ მომავალი თაობა არ გვეყოლებაო. ბიძინას კანაფის პლანტაცია უნდა. საერთაშორისო სკანდალს ხელისუფლება მალავს, უფრო სწორად – ბიძინა ივანიშვილი. აბა, თავისი სიძის ძმისშვილს ხომ არ დაიჭერს – გრანტიჭამია კობიაშვილს. უეფამ ჩაატარა გამოძიება და დაადასტურა, რომ საქართველოს ჩემპიონატში მატჩებზე ხდება თამაშების გაყიდვა და ამით ტოტალიზატორში ძალიან დიდ ფულს იგებს. მაგალითად, უეფამ გამოიძია დინამოსა და კოლხეთის ჩაწყობილი მატჩი. როგორც იუწყებიან, საქართველოს ჩემპიონატის ყველა ტურში რამდენიმე მატჩი ჩაწყობილია და კობიაშვილის კლანი მილიონებს შოულობს ტოტალიზატორებში. ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს, დამალოს „ქართული ოცნების“ პარლამენტარის დანაშაულებრივი ქმედება, უფრო სწორად, ხალხისთვის არაფრის გამკეთებელმა ბიძინამ. მაგრამ, მას შემდეგ, რაც უეფას საგამომძიებლო კომიტეტმა კატეგორიულად ამხილა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ჩაწყობილ თამაშებში, ფედერაცია იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ გუნდები ტოტალიზატორებში თამაშობენ და დიდ ფულს იღებენ. ამაზე მეტი კორუფცია, ბიძინა ივანიშვილო, რაღა გინდა. დიდი მაესტროს ნოდარ ახალკაცის სახელობის სკოლაში გავაკეთე ყველა ფეხბურთელის ფოტო, დაწყებული თქვენიდან, ლეგენდა ფეხბურთელის მურთაზ ხურცილავას იუბილეზე, 70 წლის რომ გახდა, თქვენთან ერთად გადაღებული ის სურათიც კიდია დიდ ჩარჩოში. ეს ყველაფერი დაჯდა 5.500 ლარი. ფედერაციამ მომცა 1.500 ლარი (სულ 180 სურათი იყო), დანარჩენსაც მომცემდა, მაგრამ გრანტიჭამია კობიაშვილმა არ მომცა – ჩვენ არ დაგვივალებიაო. ახლა, მფარველო ბიძინა ივანიშვილო, უეფასა და ფიფაში ვაგზავნი ამ წერილებს. ისინი ძალიან კარგად იცნობდნენ ნოდარ ახალკაცს და დიდ პატივს სცემდნენ. სურათები ჩვენ არ დაგვივალებიაო, რომ ბრძანებს, ბავშვებმა თუ არ გაიგეს, ვინ იყვნენ წინაპრები, ფეხბურთისადმი ინტერესი როგორ გაუჩნდებათ. ჩადით ერევანში, ჰკითხეს ბავშვებს, ვინ იყვნენ თქვენი კარგი ფეხბურთელები, მაშინვე გიპასუხებენ – კაზარიანი, ბეგლარიანი, იშტოიანი. ჩვენთან მიშა მესხი და სლავა მეტრეველი, ბარქაია, იამანიძე, ჩივაძე, გუცაევი, ყიფიანი და, რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოთვალო, ბავშვებმა მათი გვარები არ იციან. უეფა და ფიფა გრანტებს რომ გიგზავნიან, იქ გარკვევით წერია, საქართველოს პირველობაზე ყველას ფორმა, ბურთები გამოუცვალეთ და სტადიონები შეაკეთეთო. შენ კი მოკალი და დამარხე ქართული ფეხბურთი. მე კი სკოლაში სტენდის გაკეთებისთვის დარჩენილ 4.000 ლარს არ მიხდი. თუმცა, შენ ხელს ვინ გახლებს, ბიძინა გყოლია მფარველი, ამხანაგო „დეპუტატო“. ბიძინა, შენი ხალხი კარგად ბანაობს კორუფციაში, საცოდავ ხალხს კი, რასაც შეჰპირდი, ერთი არ შეუსრულე. შენც კი მატყუარა გამოხვედი მევლუდ მიმინოშვილივით. გადი ერთი ხალხში, შენზე რას ამბობენ, ეგ ქოსატყუილაო.

ადამიანი რეალობის შეგრძნებას კარგავს და მისდაუნებურად მოსდის არაადეკვატური აზრები, რაც შეიძლება მეტი მილიონი იშოვოს. ეს არის ბიძინა, რომელმაც ხალხის „ფეხებზე დაკიდება“ დაგვანახა. ირანში მამათმავლებს თავებს აჭრიან, ჩვენი მთავრობა კი, თუ ამას მთავრობა ჰქვია, დღეში 25-30 ირანელს უშვებს საქართველოში. რა ხდება, ხალხო, ასე შეგძულდათ საქართველო?! ქუდზე კაცი გამოდით და გავაგდოთ ეს მატყუარა ბიძინა. სიგარეტის თანხები როგორ მიდის „ოცნების“ სალაროში, ხომ ხედავთ. მეუფე იობიც დაგიპირისპირდათ... ერთი გამაგებინე, რა თანამდებობა გიჭირავს, ბიძინა, ამ პრემიერ-მინისტრებს „ნასკებივით“ რომ იცვლი. საქართველოში კი ყველგან წილში ზიხარ. ნინო ბურჯანაძემ ბევრჯერ დაამტკიცა, რომ უშიშარი და ძლიერი ქალბატონია. რაც შეეხება ბიძინას, სალომე ზურაბიშვილს ჯერ ქართული ასწავლე, მერე – საქართველოს ისტორია. რუსებს რომ ლანძღავთ, დაგავიწყდათ, აჭარა 300 წელი თურქებს რომ ჰქონდათ მიტაცებული? 1878 წელს რუსმა რომანოვებმა თურქებს გამოჰგლიჯეს აჭარა და საქართველოს ჩააბარეს. ბიძინა, ძალიან მიხარია, რომ ისე გეშინია ქალბატონი ნინოსი, ახლოსაც ვერ იკარებ, იმიტომ, რომ უაღრესად განათლებული და წინდახედული ქალბატონია. შენ კი, რაც უფრო მალე მოსცილდები საქართველოს, მით უკეთესი იქნება ხალხისთვის. შენ მხოლოდ ფულის გასაკეთებლად მოხვედი. კობიაშვილი არ დაგეკარგოს, უწიგნურო ბიძინა. ამაზე უარეს წერილებს დაგიწერ, ამ 4 ათას ლარს ორივეს ყელში ამოგიყვანთ. ჯერ სად ხართ!

თქვენ მე მაგრად გამამწარეთ. თავს არ დავზოგავ, ამ ქალაქელ კაცს რომ ყველა მატყუებს.

ირაკლი, იბო დოლიძე

მადრიდის „რეალის“ ძვირფასი თვითმფრინავი

ინტერნეტში გამოჩნდა ესპანური კლუბის მადრიდის „რეალის“ თვითმფრინავის ფოტოსურათები. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა აქვეყნებს.

აღმოჩნდა, რომ „სამეფო კლუბის“ მოთამაშეები მსოფლიოში ყველაზე დიდი ავიალაინერით ეირბუს ა380-ით დაფრინავენ. ის აღჭურვილია საწოლებით, საშხაპე კაბინებით, პირადი პირსაბნებითა და 2,5 ათას არხიანი ტელევიზორებით.

ასევე თვითმფრინავის სალონში „რეალის“ ფეხბურთელების განკარგულებაშია უზარმაზარი ბარი და უამრავი ოთახი. ამ ავიალაინერის ფასი 340 მილიონი ფუნტი სტერლინგია.

ქალს ძაღლით სეირნობა გამდიდრებაში დაეხმარა

ამერიკის ორეგონის შტატის ქალაქ ვენეტოს მცხოვრები ქალბატონი ფიქრობს, რომ ძაღლთან ერთად საკვირაო გასეირნებები დაეხმარა მას ლატარიაში მოგებაში. ჯინი კელი ლატარიის ბილეთებს ყოველ კვირა დღეს ყიდულობდა, როდესაც ძაღლი სასეირნოდ მიჰყავდა.

– ჩვენთან ერთად ჩემი მშობლებიც მოდიოდნენ, შემდეგ კი ყველანი ვიღებდით ლატარიის ბილეთებს და ვთამაშობდით, – განმარტა მან. ოჯახურმა ტრადიციამ ქალს წარმატება მოუტანა. მან შტატის ლატარიის გათამაშებაში 70 ათასი დოლარი მოიგო.

კელი მოგებული თანხის დახარჯვას საკუთარი ქორწილის 20 წლისთავის აღსანიშნავად ფლორიდაში დინეი ვორლდში ან კალიფორნიაში დინეილენდში აპირებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

28 სექტემბისათვის

ვერძი – მატერიალური მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა. ფულს უაზროდ ნუ გაფლანგავთ. **კურო** – იფიქრეთ, გამდიდრდით სულიერად, იზრუნეთ ცოდნის არეალის გაფართოებაზე. **ტყუპები** – ცრუ პანიკას ნუ აჰყვებით, ეცადეთ, ილუზიებისგან გათავისუფლდეთ და რეალურად იაზროვნოთ. **კირჩხიბი** – ნუ გადაიღლებით. ერიდეთ ქალაქიდან გასვლას. დაისვენეთ მყუდრო გარემოში. **ლომი** – ფინანსური მდგომარეობა უარესდება. კომერციული ოპერაციებისაგან თავი შეიკავეთ. **ქალწული** – იოლად არავის მიენდოთ. მოტყუების ალბათობა დიდია. რისკი გაუმართლებელია. **სასწორი** – ჯანმრთელობას სერიოზულად მიხედეთ. საჭიროების შემთხვევაში ყოველგვარი საქმე გადადეთ და ექიმთან ვიზიტი არ დააყოვნოთ. **ღრიანკალი** – მიღებულ ინფორმაციას გადაუმოწმებლად ნუ ენდობით. ცხელ გულზე გადაწყვეტილების მიღება არ ღირს. **მშვილდოსანი** – საყვარელ ადამიანს მეტი დრო დაუთმეთ. საღამო მეგობრებისა და ახლობლების წრეში გაატარეთ. **თხის რქა** – ვარსკვლავები გაფრთხილებენ: ზედმეტ ხარჯებს ერიდეთ. შემოიფარგლეთ მინიმალურით. **მერწყული** – გარშემომყოფებთან ურთიერთობისას ლოიალურობა გამოიჩინეთ. სიტუაციას ნუ გაამწვავებთ. **თევზები** – იაქტიურეთ. საკუთარი თვალსაზრისის გამოხატვას ნუ მოერიდებით.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვორდი ბ



შვეულად: 1. თვალის დაავადება, ახლომხედველობა; 2. ელექტრონული საშუალებებით გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება; 3. რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება; 4. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ამერიკული ქიმიურ-სამრეწველო კომპანია; 5. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 7. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ოდესის მახლობლად; 11. ხელოვნური სარწყავი არხების სახელწოდება შუა აზიაში; 12. გოეთეს ტრაგედია; 13. ხავერდის მსგავსი ხშირხაოიანი ბამბის ქსოვილი; 14. საცხენოსნო სპორტის ერთ-ერთი დისციპლინა; 15. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 17. ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 19. საერთაშორისო საზღვაო-სავაჭრო ხელშეკრულება.

თარაზულად: 5. ოდესის ძველი სახელწოდება; 6. სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში; 8. ქართული სპორტული რადიო; 9. იაპონური აბანო; 10. ნიადაგში ბოძების ჩასარჭობი მექანიკური მოწყობილობა; 11. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი; 13. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 14. წვრილი ხმა მრავალხმიან სიმღერაში; 16. „სამი მუშკეტერის“ პერსონაჟი; 18. ქვებზე, ხეებზე მზარდი უფესვო სპოროვანი მცენარე; 20. ცხარე გემოს მქონე ფრანგული ყველი; 21. გერმანული ლუდი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ვერდი; 2. ტიბრი; 3. წაღვერი; 4. ეტლი; 5. ბორა; 6. ფიურსტი; 9. ნიკორწმინდა; 10. სუპერმენი; 11. ინსტინქტი; 14. „სოტბი“; 16. არიბა; 18. კრაკოვი; 20. კარტელი; 23. კოკი; 24. ნაძვი; 25. კოალა; 26. ხოტი.

თარაზულად: 7. ბარისტერი; 8. აბსოლუცია; 12. გენუა; 13. ონისე; 15. კროლი; 17. დაბაწყური; 19. კაისა; 21. ფაუნა; 22. ფტორი; 27. კვირიკაძე; 28. „პასტორალი“.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ტონიკი; 2. ჰენესი; 3. აპალაჩი; 4. მავრები; 5. ლარიქსი; 7. დარნიცა; 11. ჰააგა; 12. ქაფშია; 13. ვერდერი; 14. პარსეკი; 15. პანედა; 17. გორილა; 19. ბუცი.

თარაზულად: 5. ლოგორეა; 6. ტემპერა; 8. სურა; 9. კოლიე; 10. ქეშიკი; 11. ჰერა; 13. ვალტორნა; 14. პიაფი; 16. დგუში; 18. ბედია; 20. კარცერი; 21. დუბლეტი.

„ჩემი ცოლის დაქალები“ იწყება

ფორმულა კრეატივის გახმაურებული სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“ ახალ სატელევიზიო სეზონს იწყებს.

ჩცდ-ს რიგით მე-14 სეზონი 5 ოქტომბერს კვლავაც ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ეთერში დაიწყება. შემოქმედებითი ჯგუფის ინფორმაციით, სერიალში მაყურებელი კარგად ნაცნობ გმირებთან ერთად ახალ პერსონაჟებსაც შეხვდება.

მარიშა ურუშაძე მუგლერის ჩვენებაზე გამოვიდა

პარიზის მოდის კვირეულში ცნობილ მოდელებთან ერთად ქართველი მოდელებიც მონაწილეობენ.

მარიშა ურუშაძემ მუგლერის ჩვენებაში მიიღო მონაწილეობა, რომლის შემოქმედებითი ხელმძღვანელიც ქეისი ქადუალედერია.

მუგლერს წლების განმავლობაში დევიდ კომა იგივე დავით კომახიძე მართავდა, თუმცა მას არც ერთ თავის ჩვენებაზე ქართველი მოდელი არ მიუწვევია. ქართველ დიზაინერს მუგლერში სუპერმოდელები ჰყავდა და მისი გამამართლებელი საბუთიც ეს არის.

დევიდ კომა უკვე 10 წელია მოდაშია და მის პოდიუმზე არც დეივიდ კომაში და არც მუგლერში ერთი ქართველიც არ ყოფილა. მისი კოლექცია წარმოდგენილი აქვს თინა ვეშაგურს, რომელიც რუსი მოდელის სახელითაა ცნობილი.

გიორგი სუხიტაშვილმა მუსიკალური სტუდია გახსნა

მომღერალმა გიორგი სუხიტაშვილმა მუსიკალური სტუდია გახსნა.

„ვივო“ – ასეთია საბავშვო მუსიკალური სტუდიის სახელწოდება, რომელსაც გიორგი სუხიტაშვილი და ზაზა წურწუმია ერთობლივად უხელმძღვანელებენ. სტუდიაში ვოკალთან ერთად ბავშვებს მოთხოვნის შემთხვევაში გიტარასაც შეასწავლიან. სტუდიის ბავშვები მონაწილეობას მიიღებენ სატელევიზიო შოუგადაცემებსა და კონცერტებში.

გიორგი სუხიტაშვილი:

– საკმაო ფიქრის შემდეგ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ჩვენი გამოცდილება, ჩვენი ხედვა და მიდგომა გავუზიაროთ პატარებს. პირადად ჩემთვის გამოწვევაა. ნებისმიერ საქმეში აუცილებელია პროფესიონალიზმი და ღირსება, რაზეც მრავალი წელია შევთანხმდით მე და ზაზა. იმედს ვიტოვებ, რომ ჩვენი შრომა შედეგს გამოიღებს.

ანსამბლი „აფხაზეთი“ კონცერტს გამართავს

28 სექტემბერს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში ანსამბლი „აფხაზეთი“ კონცერტს გამართავს.

„ქართული გენი“ – ასე ეწოდება კონცერტს, რომელშიც „აფხაზეთის“ წევრები საკუთარი რეპერტუარიდან საუკეთესო ნომრებს წარმოადგენენ. კონცერტზე შესრულებული იქნება ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ბიოლოგი უზარმაზარ ნიანგს ზურგზე მოაჯდა

დანიელი მამაკაცი ნახევარტონიან ნიანგს ზურგზე იმისთვის მოაჯდა, რომ სელფი გადაეღო. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ნილს ჯენსენი ავსტრალიის ჩრდილოეთ ნაწილში მოგზაურობდა, როდესაც 4,7 მეტრი სიგრძის და 650 კილოგრამი წონის ნიანგს გადააწყდა. 22 წლის დანიელმა, რომელსაც ბიოლოგიის განათლება აქვს მიღებული, გადაწყვიტა, ეფექტური სურათი გადაეღო. მან რეპტილია პატარა კენგურუ – ვალაბის გვამით მიიტყუა და შემდეგ ზურგზე მოაჯდა. მას შემდეგ, რაც ის ნიანგის ზურგიდან გადმოვიდა, ოპერატორმა მას ამის კიდევ ერთხელ გაკეთება სთხოვა. ჯენსენი კიდევ ერთხელ შეაჯდა ზურგზე მტაცებელ ცხოველს და თითი ზევით აღმართა.

მეგობრებმა მას „დანიელი ნიანგი დანდი“ შეარქვეს. მოგვიანებით მან აღიარა, რომ სიკვდილს ეთამაშებოდა, თუმცა იქვე დაამატა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ის შეგრძნებები გარისკვად ღირდა.

გია ყანჩელს იტალიურ პრემიას გადასცემენ

83 წლის გია ყანჩელს 30 სექტემბერს კრემონის საერთაშორისო მუსიკალურ გამოფენასა და ფესტივალზე პრემიით დააჯილდოებენ XX საუკუნის მეორე ნახევარში მუსიკაში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის კომპოზიციის მიმართულებით.

კრემონის საერთაშორისო გამოფენა და ფესტივალი ყველაზე მასშტაბური და ცნობილი გამოფენაა მსოფლიოში და მასში ყოველწლიურად მუსიკალური საკრავების ყველა მწარმოებელი კომპანია მონაწილეობს, პრემია კი, რომელიც ამ ცნობილი გამოფენისა და ფესტივალის ფარგლებში 2014 წელს დაარსდა, იმ პიროვნებებსა და ინსტიტუტებს გადაეცემათ, რომლებმაც თავიანთ დარგში უმაღლეს მწვერვალს მიაღწიეს.

სპეციალური სამეცნიერო კომიტეტი ყოველ წელს ირჩევს საერთაშორისო მუსიკალური სცენიდან იმ ხელოვანებს, რომლებმაც განსაკუთრებულად შეუწყვეს ხელი დიდი მუსიკისა და იმ ღირებულებების გავრცელებას საზოგადოებაში, მუსიკალურ ტრადიციებს რომ ერთვის.

დაჯილდოებაზე პიანისტები ალესანდრო სტელა და გიორგი ვაჩნაძე მაესტროს რამდენიმე კომპოზიციას შეასრულებენ.

ნიკორწმინდის გუმბათის ყელში ერთ-ერთი მღვდელმთავრის პორტრეტი აღმოჩნდა

ნიკორწმინდის ფასადების საკონსერვაციო სამუშაოების დროს რესტავრატორთა ჯგუფმა უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა გააკეთა.

საკონსერვაციო პროცესისას ამ დრომდე უცნობი რელიეფის უნიკალური ნაშთები გამოვლინდა. ქვაში ნაკვეთი ფრაგმენტები ტაძრის გუმბათის ყელის ქვედა ნაწილში მიმდინარე კონსერვაციის დამასრულებელი ფაზის სამუშაოებისას აღმოჩნდა. მათზე ერთ-ერთი მღვდელმთავრის პორტრეტი და ნიკორწმინდისთვის სახასიათო მდიდარი ორნამენტია წარმოდგენილი.

სამხატვრო აკადემიის რესტავრატორთა ჯგუფის წევრებმა რელიეფურ წყობას ტაძრის მკლავისა და გუმბათის ყელის კონსტრუქციული ბმის იმ სეგმენტზე მიაგნეს, სადაც ფასადი ბათქაშის ადრესარესტავრაციო ფენის ნარჩენისაგან უნდა გაწმენდილიყო. ორნამენტული რიგი გადახურვის ხის კონსტრუქციის ქვეშ იყო მოქცეული და ამ დრომდე თვალთახედვის არეში არ ხვდებოდა. ის არც ნიკორწმინდის ტაძრის თუნუქით გადახურვის პროცესისას შეუმჩნევიათ, რომელიც დაახლოებით 15 წლის წინ განხორციელდა.

ნიკორწმინდის აღმოსავლეთ მკლავის გადახურვა სხვა მკლავების სახურავთან შედარებით მაღალია, რასაც მისი საპირე წყობის ქვების სიმაღლე განაპირობებს. რესტავრატორების დასკვნის მიხედვით, ახლადგამოვლენილი ორნამენტული კარნიზიც ამ დრომდე სწორედ ამ გარემოების გამო არ ჩანდა.

პირველადი მონაცემების საფუძველზე რესტავრატორები ვარაუდობენ, რომ ახლადგამოვლენილი რელიეფური ორნამენტები ნიკორწმინდის გუმბათის ორნამენტების თანადროულია, XI საუკუნისაა და მისთვის დამახასიათებელი ქვაშიკვეთილობის სტილითაა შესრულებული.

ნიკორწმინდის ექსტერიერის ფასადზე ქვის საკონსერვაციო სამუშაოებს სამხატვრო აკადემიის რესტავრატორთა ჯგუფი მხატვარ-რესტავრატორ ნანა კუპრაშვილის ხელმძღვანელობით მიმდინარე წლიდან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაკვეთის საფუძველზე ახორციელებს.

საკონსერვაციო პროექტი ტაძრის ყველა ფასადის საპირე წყობის მთლიანი სეგმენტების კირხსნარის ინექტირების მეთოდით გამაგრებას, ბზარების კონსოლიდაციას, დაძრული ქვების შეწებებისა და დაანკერების მეთოდოლოგიით გამაგრებასა და ცემენტის ნალესობის კირხსნარით შეცვლას მოიცავს. ტაძარზე მიმდინარე სამუშაოები მიმდინარე წელსვე უნდა დასრულდეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

შვილმა მილიონერი მამა მემკვიდრეობის გამო მოკლა

კანადის სასამართლომ მილიონერის შვილი მამის მკვლელობაში დამნაშავედ ცნო. ამ ინფორმაციას ბი-ბი-სი ნიუსი ავრცელებს.

კანადის ავიაკომპანია Millardair-ის ხელმძღვანელი უეინ მილარდი 2012 წელს საკუთარ სახლში დაიღუპა. მისმა შვილმა დელენ მილარდმა პოლიციას განუცხადა, რომ მამა ალკოჰოლიზმისა და დეპრესიისგან იტანჯებოდა. მისი ნათქვამიდან გამომდინარე, უეინის დაღუპვა თვითმკვლელობად გამოაცხადეს. დელენმა, რომელიც იმ მომენტისთვის 27 წლის იყო, მამის ქონება მემკვიდრეობით მიიღო და კომპანიას ჩაუდგა სათავეში.

ნახევარი წლის შემდეგ დელენი 32 წლის კანადელის ტიმ ბოზმის გაუჩინარებაში აღმოჩნდა გარეული. მილიონერის მემკვიდრე პიკაპის გაყიდვის თაობაზე ბოზმის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებას გამოეხმაურა. ისინი ერთმანეთს მანქანის სანახავად შეხვდნენ. პიკაპის პატრონმა დელენს ავტომობილით გასეირნების ნება დართო და თავადაც მასთან ერთად ჩაჯდა მანქანაში. მას შემდეგ ის აღარავის უნახავს.

მანქანა იმ სახლის მახლობლად იპოვეს, რომელიც დელენის დედას ეკუთვნის. როდესაც პიკაპის სალონში დენთისა და ბოზმის სისხლის კვალი აღმოაჩინეს, მილიონერის მემკვიდრეს მკვლელობის ბრალდება წაუყენეს. ამის შემდეგ პოლიციამ გადაწყვიტა, განმეორებით გამოეძიებინა მისი ყოფილი მეგობარი გოგონას გაუჩინარების საქმე.

დელენის მეგობარი გოგონა, ლაურა ბაბკოკი, უეინ მილარდის დაღუპვამდე სამი თვით ადრე გაუჩინარდა. როგორც გაირკვა, მანამდე დელენი თავის ახალ მეგობარ გოგონას შეჰპირდა, რომ მას მათი ცხოვრებიდან მოაშორებდა. ისევე, როგორც ბოზმის შემთხვევაში, გოგონას ცხედარს ვერსად მიაკვლიეს. გამოძიების აზრით, დელენმა მათი ცხედრები ნარჩენების საწვავ ღუმელში დაწვა, რომელიც ბაბკოკის გაუჩინარებისთანავე შეიძინა.

2016 წელს დელენს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს ბოზმის მკვლელობისთვის. ერთი წლის შემდეგ მას კიდევ ერთი სამუდამო პატიმრობა ბაბკოკის მკვლელობისთვის მიესაჯა.

უეინ მილარდის დაღუპვის ახალი გამოძიების დროს გაირკვა, რომ მისი ცხედრის გვერდით ნაპოვნი პისტოლეტი დელენს ეკუთვნოდა. იარაღზე მისი დნმ-ის კვალიც აღმოაჩინეს. დელენის ალიბი საბოლოოდ მას შემდეგ გაცამტვერდა, როდესაც მობილური ოპერატორის მონაცემები იქნა შესწავლილი. ბრალდების მხარე მიიჩნევს, რომ მან მამის მკვლელობა იმის გამო ჩაიდინა, რომ მისთვის მემკვიდრეობის ახალ ბიზნესში დაბანდებისთვის ხელი შეეშალა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გამვლელებმა ფანჯრიდან გადმოვარდნილი ბავშვი გადაარჩინეს

ჩინეთში გამვლელებმა შიშველი ხელებით დაიჭირეს ბავშვი, რომელიც მეოთხე სართულის ფანჯრიდან გადმოვარდა და გადაარჩინეს.

ინციდენტი ჩუეცზიანის პროვინციის ქალაქ ვენჩოუში მოხდა. ორი წლის გოგონა, რომელიც სახლში მარტო იყო დარჩენილი, გაღვიძების შემდეგ მშობლების ძებნას შეუდგა. მოგვიანებით ბავშვის დედამ განმარტა, რომ გოგონა ბებიის ზედამხედველობის ქვეშ დატოვეს, მაგრამ ის მაშინვე წავიდა, როგორც კი ბავშვს დაეძინა.

ბავშვი მეოთხე სართულიდან გადმოვარდა და დაახლოებით 18 მეტრი იფრინა. მისი დაჭერა იქვე ახლოს მდებარე ფაბრიკის მუშებმა მოახერხეს. მართალია, მათ გოგონას ხელში შეკავება ვერ შეძლეს, თუმცა მნიშვნელოვნად შეარბილეს დაცემის ძალა. პატარა რამდენიმე განაკაწრით გადარჩა მაშინ, როცა მისმა მხსნელებმა 49 წლის დინ ცზიცაიმ და 57 წლის იუან ჟუნშენმა ხელი მოიტეხეს.

მამაკაცები თავდადებისთვის დააჯილდოვეს და ექვსი ათასი იუანი გადასცეს. ასევე ბავშვის დედამ მადლიერების ნიშნად თითოეულს ორ-ორი ათასი იუანი გადასცა. მან იუანი საავადმყოფოში მოინახულა და მკურნალობის ხარჯებიც აუნაზღაურა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

28 სექტემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ
დოლარი
— 2.6199

ევრო
— 3.0794

ინგლისური გირვანქა
სტერლინგი
— 3.4454

100 რუსული
რუბლი
— 3.9796

ამინდის პროგნოზი 28 სექტემბრისთვის

ერნესტო ვალვერდე: „ბარსელონას რთული პერიოდი აქვს“

„ბარსელონის“ მთავარმა მწვრთნელმა ერნესტო ვალვერდემ განაცხადა, რომ „ბარსელონას“ რთული პერიოდი აქვს და გუნდმა ეს კრიზისი უნდა დაძლიოს.

ვალვერდემ ეს განცხადება ლეგანესთან მარცხის შემდეგ გააკეთა.

– ეს შეხვედრა არ უნდა წაგვეგო, რადგან მატჩის სადავეებს ვაკონტროლებდით, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი ხდება და, სამწუხაროდ, დავმარცხდით. ამჟამად „ბარსელონას“ რთული პერიოდი აქვს, მაგრამ მჯერა, რომ ამას მალე დავძლევთ, – განაცხადა ვალვერდემ. აღსანიშნავია, რომ „ბარსელონა“ მაინც პირველ ადგილზეა, რადგან რეალი ასევე დამარცხდა სევილიასთან.

2024 წლის ევროპის ჩემპიონატი გერმანიაში ჩატარდება

2024 წლის ევროპის ჩემპიონატს გერმანია უმასპინძლებს. ეს ოფიციალურად ცნობილი გახდა 27 სექტემბერს. გერმანიის ერთადერთი კონკურენტი თურქეთი იყო, მაგრამ ფიფამ უპირატესობა გერმანიას მიანიჭა.

ევროპის ჩემპიონატის მატჩები, სავარაუდოდ, გერმანიის 10 ქალაქში ჩატარდება, ფინალი კი, სავარაუდოდ, მიუნხენში, ალიანს არენაზე გაიმართება.

ედენ აზარი: „ლივერპული შაბათსაც უნდა დავამარცხოთ“

ჩელსის ვარსკვლავმა ედენ აზარმა განაცხადა, რომ მის გუნდს ლივერპულის დამარცხება პრემიერლიგაშიც შეუძლია.

ოთხშაბათს ჩელსიმ ლივერპულს ლიგის თასზე 2:1 მოუგო და გადამწყვეტი გოლი სწორედ ედენ აზარმა გაიტანა.

აზარის აზრით, პრემიერლიგის შეხვედრა უფრო მნიშვნელოვანი იქნება:

– ლივერპული ძალიან ძლიერი გუნდია, მაგრამ, თუ ჩემპიონობა გვსურს, ისინი კიდევ ერთხელ უნდა დავამარცხოთ. შაბათის შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

გეიპინგვინებმა ნამდვილ მშობლებს ბარტყი მოსტაცეს

დანიაში ჰომოსექსუალი პინგვინების წყვილმა ბარტყი „მოჰპარა“ თანამოძმეებს, რომლებიც მათ ცუდ მშობლებად ჩათვალეს.

ცხოველები ოდენსეს ზოოპარკის ბინადარნი არიან. როგორც ჩანს, პინგვინების ელიასისა და ემილის წყვილმა გადაწყვიტა, რომ ტრადიციული ორიენტაციის მათი თანამოძმეები ყურადღებას არ აქცევდნენ საკუთარ ბარტყს.

ზოოპარკის თანამშრომელმა სენდი ჰედეგაარდ მუნკმა განაცხადა, თუ როგორ მოხდა ბარტყის გატაცება: ჰეტეროსექსუალურ წყვილში მდედრი ბანაობის სეანსზე წავიდა, ხოლო ბარტყი მამრთან დარჩა. ამ დროს მან პატარა უყურადღებოდ დატოვა, ხოლო გეიწყვილმა ამის დანახვის შემდეგ მათი ნაშიერი თავის კუთხეში გადაიყვანა და თავდასაცავად მოემზადა.

მშობლებმა დანაკარგი შენიშნეს, თუმცა სრულიად მოულოდნელად მოიქცნენ. მამრმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს არასოდეს ჰყოლია ნაშიერი, ხოლო მდედრი, მართალია, ბარტყის ძებნას შეუდგა, თუმცა ამას არც ისე მონდომებით აკეთებდა და მალე დაივიწყა კიდეც. ამის შედეგად ბარტყი გეიწყვილს დარჩა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ღამით პოლიციელები რეიდს ატარებენ. ხედავენ ქუჩაში გოგონა დგას. დააკავეს, მანქანაში ჩასვეს და ერთ-ერთი ეკითხება:

– რას საქმიანობ?

– მანეკენი ვარ!

– ეგ რას ნიშნავს?

– ჩავიცვამ ლამაზ ტანსაცმელს, პოდიუმზე გამოვალ და ყველა მე მიყურებს!

– გასაგებია... გივი, ჩაწერე, ბ...ზია.

ცოტა ხანში ქუჩაში მეორე გოგონა შენიშნეს. მანქანაში ჩასვეს და ერთ-ერთი ეკითხება:

– რას საქმიანობ?

– ნატურისტი ვარ!

– ეგ რას ნიშნავს?

– რას და ტანსაცმელს ვიხდი, მხატვრები კი მხატავენ!

– გასაგებია... გივი, ჩაწერე, ბ...ზია.

მალე განათების ბოძთან მესამე გოგონა დაინახეს, და ერთ-ერთი ეკითხება:

– რას საქმიანობ?

– მეძავი ვარ!

– ეგ რას ნიშნავს?

– რას და ღამით ქუჩაში გამოვდივარ და ერთი ბოძიდან მეორე ბოძამდე დავდივარ.

– გასაგებია... გივი ჩაწერე, ელექტრიკოსია.

●●●

ქალი ქმრის საფლავზე მივიდა და დაატირა:

– არჩევნებზე თუ იყავი, შე სასიკვდილე, სახლში რაფერ არ გამეიარე...

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ბავშვობაში ლიფტში შესვლის მეშინოდა.

– რატომ?

– ვშიშობდი, კარი ისევ რომ გაიღებოდა, სხვა განზომილებაში, სხვა სამყაროში აღმოვჩნდებოდი...

– ახლა?

– ახლა მაგაზე ვოცნებობ...

●●●

განცხადება:

„სემინარი „როგორ არ ვიქცეთ თაღლითობის მსხვერპლად“ აღარ გაიმართება. ბილეთები დაბრუნებას არ ექვემდებარება“.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

საზოგადოებაში მარტო პირველად გამოსულმა მეგან მარკლმა წესები დაარღვია

ბრიტანეთის პრინც ჰარის მეუღლე მეგან მარკლმა საზოგადოებაში მარტო თავისი პირველად გამოსვლის დროს სამეფო ოჯახის ქცევის წესების დარღვევა მოასწრო: მან თავად მიხურა ავტომობილის კარი. ერთ-ერთი გამოცემის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ ჟესტმა მხურვალე დისკუსია გამოიწვია.

მეგან მარკლმა გამოფენა „ოკეანეთი“ მოინახულა, რომელიც სამხატვრო სამეფო აკადემიაში იმართება. ის ავტომობილიდან გადმოვიდა და არ დაუცდია, ამაზე პასუხისმგებელი პირი როდის მიხურავდა მის ნაცვლად კარს.

ტვიტერის მომხმარებლებმა ეს წვრილმანი დეტალი მნიშვნელოვან მოვლენად ჩათვალეს. ერთ-ერთმა კი აღიარა, რომ პირველად ნახა, რომ სამეფო ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა კარი თავად მიხურა.

ამ მოვლენის ამსახველი ვიდეოსთვის თანდართულ კომენტარებში ბევრმა მიიჩნია, რომ ჰერცოგინია უბრალოდ ჯერ ვერ შეეჩვია ქცევის მრავალრიცხოვან წესებს და კვლავაც „ჩვეულებრივი მოკვდავივით“ იქცევა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი ১



შვეულად: 1. მდინარე ბერლინში; 2. დარიშხანის საბადო რაჭაში; 3. მაღალხარისხოვანი არომატული სპირტიანი სასმელი; 4. უმარილო ხმიადი, რომელსაც ებრაელები ამზადებენ პასექისათვის; 5. მომკილი პურის თავთავების სალეწი მოედანი; 6. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 9. ნახევარკუნძული ევროპაში; 10. ადამიანი, რომელმაც მიიღო ახალი სარწმუნოება; 11. ქალაქი იმერეთში; 14. აკვიატებული შიში; 16. მოკლე კინოსარეკლამო რგოლი; 18. წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ საბრძოლო სამხედრო გემი; 20. ქართველი სუმოისტი; 23. ქუდების მკერავი ძველად საქართველოში; 24. საშობაო სიმღერა; 25. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 26. ფიჯის დედაქალაქი.

თარაზულად: 7. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. კანონებში არსებული წინააღმდეგობა; 12. დუდუკზე შესრულებული დილის ჰანგი; 13. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 15. მდინარე ევროპაში; 17. ჩინეთის იმპერატორთა ტიტული; 19. მაღალმთიანი სოფელი თუშეთში; 21. ინდოეთის ოკეანისპირა ნავსადგური ავსტრალიაში; 22. საიდუმლო წერისთვის საჭირო პირობითი ნიშნების სისტემა; 27. ყოველთვიური ფულადი დახმარება სტუდენტებისათვის; 28. ქართველი თეატრალური მხატვარი, მოქანდაკე.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა